საბანკო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

Standard Terms of Banking Services

წინამდებარე საბანკო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები არის წინასწარ ჩამოყალიბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობები, რომელთაც ერთი მხარე (ბანკი) უდგენს მეორე მხარეს (კლიენტი) და რომელთა მეშვეობითაც ხდება კანონით დადგენილი ნორმების შემვსები წესების დადგენა (შემდგომში - „სტანდარტული პირობები“).	Present Banking Service Standard Terms Agreement constitutes pre-defined, multiple-usage purpose terms, which are determined by one party (Bank) for the other (Client) and by virtue of which certain rules are created, supplementing the legally applicable terms, set by law (hereinafter – Standard Terms).
საბანკო მომსახურების ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და თითოეული ტიპის საბანკო მომსახურების მნიშვნელოვანი პირობები, რომლებიც განსხვავებულია თითოეული კლიენტისათვის საბანკო მომსახურების ტიპის მიხედვით (შემდგომში - „მნიშვნელოვანი პირობები“), ერთიანობაში ქმნის საბანკო მომსახურების ხელშეკრულებას ბანკსა და თითოეულ კლიენტს შორის (შემდგომში - „ერთიანი ხელშეკრულება“).	Standard Terms, together with Specific terms of each banking product, that are different per each Client in accordance with the banking service used (hereinafter – Specific terms), in conjunction constitute the Agreement on Banking Services between the Bank and each Client (hereinafter – Entire Agreement).
I. ზოგადი დებულება და ცნებათა განმარტებები	**I. General terms and definitions**
წინამდებარე სტანდარტული პირობები და მასში მოყვანილი წესები შემუშავებულია საქართველოს საბანკო კანონმდებლობის და სხვა საკანონმდებლო აქტების შესაბამისად, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფორმებში, განსაზღვრავს ანგარიშსწორების ორგანიზებისადმი საერთო მიდგომას, აწესრიგებს ფიზიკურ პირთა უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორების წესს, , საგადახდო სისტემებისა და საგადახდო ინსტრუმენტებს, ერთიან საბუთბრუნვას, საგადახდო საბუთების გამოყენებას, მათი შევსების, გაფორმების წესებს, ფორმატებს, არქივების წარმოებას, ადგენს საბანკო ანგარიშებით ოპერაციების წარმოების წესებს.	Standard Terms and terms and conditions contained herein are drafted and developed in accordance with Georgian Banking Legislation and other Legal Acts that, on the territory of Georgia, regulate the general approach towards account opening facilities, define the rules of cash and bank transactions for physical persons, payment systems and payment instruments, common document circulation, usage of payment orders, their drafting, execution terms, forms, archive, determine the rules for maintenance of bank account operations.
სტანდარტულ პირობებში მოყვანილი დებულებები ვრცელდება ნებისმიერ პირზე (მათ შორის არასრულწლოვან ფიზიკურ პირებზე, სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ შემთხვევებში და იურიდიულ პირებზე, მიუხედავად მათი სტატუსისა), რომლებსაც ბანკთან გაფორმებული აქვთ მნიშვნელოვანი პირობები.	The terms and conditions contained herein shall extend to any person (including the underage person, in instances described by the Civil Code of Georgia and legal persons, irrespective of their status), that have executed Specific Terms with the Bank.
წინამდებარე სტანდარტულ პირობებში გამოყენებულ ცნებებს აქვთ შემდეგი განმარტებები:	The terms and definitions used in Standard Terms shall have the following meaning:
სადებეტო ბარათი: ნიშნავს Visa Electron დებიტ საბანკო ბარათს, რომლის მეშვეობითაც ერთიანი ხელშეკრულების საფუძველზე კლიენტს საშუალება ეძლევა აწარმოოს საბანკო ოპერაციები ამ უკანასკნელის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე არსებული (ხელმისაწვდომი) თანხის ფარგლებში.	**Debit Card** – means a Visa Electron Debit bank card that, based on the Entire Agreement, allows the Client to conduct banking operations within the amount available on the latter's account maintained at the Bank.

პაროლი/კოდი: ნიშნავს უნიკალურ, ავტომატურად გენერირებულ და კონფიდენციალურ უსაფრთხოების ნომერს, რომელიც ბარათთან ერთად წარმოადგენს ბარათის მფლობელის ელექტრონულ იდენტიფიკატორს ან კლიენტის მიერ ინტერაქტიული ბანკინგის მეშვეობით დადგენილ უსაფრთხოების ნომერს, ინტერაქტიული საბანკო ტრანზაქციებისათვის.	**Password/Code**: means a unique, automatically generated and confidential security number given by the Bank to the Client together with Debit Card, which, together with the card itself, represents an electronic identification tool of the Client; or the security number in Interactive Banking determined by the Client for use in interactive banking transactions.
ინტერაქტიული ბანკინგი: ნიშნავს ბანკის მიერ შეთავაზებულ საბანკო სერვისს, რომელიც ხორციელდება ქოლ ცენტრის, ტელეფონის, კომპიუტერის, ინტერნეტის ან ტექნოლოგიური ხერხების თუ სისტემების მეშვეობით, როგორიცაა Netmatik და ა.შ.	**Interactive Banking:** means the banking services to be provided by the Bank; through Call Centre, phone, PC, TV, Internet, or technological tools and systems such as Netmatik, etc.
ბანკომატი: ნიშნავს თვითმომსახურების ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც კლიენტს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა და სხვა ისეთი ოპერაციების წარმოება, როგორიცაა ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, Netmatik, Bankamatik(+) და Bankamatik მოწყობილობების ჩათვლით.	**ATM:** An electrical-technical self-service device, which enables the Client to withdraw money and conduct other operations, such as checking account balance, including Netmatik, Bankamatik(+) and Bankamatik devices.
საერთაშორისო საბარათე დაწესებულებები: ნიშნავს Visa International S.A, MasterCard International S.A., და სხვა დაწესებულებები, რომლებიც შუამავლობენ საკრედიტო/სადებეტო ბარათების სისტემებში, რომლის წევრიც შესაძლებელია ბანკი გახდეს.	**International Card Institutions:** means Visa International S.A, MasterCard International S.A., and other institutions intermediating Credit Card/Debit Card system, that the Bank may become a member of.
წევრი საწარმო: ნიშნავს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელმაც დადო საწარმოს წევრობის ხელშეკრულება საერთაშორისო საბარათე დაწესებულებებთან და/ან ბანკთან, რომელიც კლიენტებს აწვდის საქონელს/მომსახურებას და/ან ნაღდი ფულის გამოტანის საშუალებას აძლევს.	**Member Enterprise:** means a real or legal person that has signed an enterprise membership agreement with International Card Institutions and/or our Bank, providing all goods and/or services to Clients and/or enabling cash withdrawal.
ანგარიშ-ქვითარი: ნიშნავს დოკუმენტს, რომელიც გაცემულია ბანკომატის ან წევრი საწარმოს მიერ სადებეტო ბართით შესრულებულ ოპერაციასთან კავშირში, რომელიც ხელმოწერილია კლიენტის მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც კლიენტი იდენტიფიცირდება პაროლის/კოდის მეშვეობით ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მეთოდით.	**Expenditure Slip:** means a document that is issued by a Member Enterprise or ATM in relation to transactions performed using the Debit Card, that is signed by the Client, except for the cases where the Client is identified through a Password/Code, code or any other identifying method.
საბანკო ბარათის გამოყენების წესები და პირობები: ნიშნავს წესების ერთობლიობას, რომელიც დამტკიცებულია ბანკის მიერ და დაკავშირებულია საბანკო ბარათების გამოყენებასთან და შესაბამის პროცედურებთან.	**Terms and Conditions of Bank Card Usage** – means a set of rules, as approved by the bank, related to usage of Bank Cards and applicable procedures related thereto.
სტოპ-სია: ნიშნავს იმ ბარათების საერთაშორისო ან ლოკალური სიას, რომლებზედაც ტრანზაქციები დაუშვებელია და ვრცელდება მომსახურების განსაკუთრებული რეჟიმი.	**Stop-List** - means a list of those bank cards, both local and international, von which banking operations and transactions are prohibited and to which a specific service regime is applicable.
მესამე პირი: ნიშანვს ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს, რომელიც არ წარმოადგენს ერთიანი ხელშეკრულების მხარეს.	**Third Party** - means any physical or legal entity except for the Parties hereto.

სადებეტო ბარათის ანგარიში: ნიშნავს საბანკო ანგარიშს, გახსნილს კლიენტის მიერ ბანკში, რომელის რეკვიზიტები მითითებულია შესაბამისი საბანკო მომსახურების მნიშვნელოვანი პირობებში. .	**Debit Card Account** – means a bank account, opened by the Client at the Bank, the requisites of which are referenced in relevant Specific Terms.
დანახარჯის ზღვარი: ნიშნავს მაქსიმალური თანხის ოდენობას, რომელიც ექვემდებარება გახარჯვას სადებეტო ბარათის მეშვეობით 24 საათიანი მონაკვეთის განმავლობაში, დადგენილი მხარეთა მიერ შესაბამისი საბანკო მომსახურების მნიშვნელოვანი პირობებში.	**Expenditure Limit** – a maximum amount of funds usable through the Debit Card during a 24 hour timeframe, established by the Parties, defined in relevant Specific Terms.
გადარიცხვის ზღვარი: ნიშნავს მაქსიმალური თანხის ოდენობას, რომელიც ექვემდებარება ბანკომატის მეშვეობით გადარიცხვას 24 საათიანი მონაკვეთის განმავლობაში და რომელიც შეადგენს 1500 ლარს.	**Transfer Limit** – a maximum amount of funds transferrable by means of ATM during a 24 hour timeframe, amounting to 1500 GEL.
საბანკო ამონაწერი: ნიშნავს დროის მოცემულ მონაკვეთში შესრულებულ საბანკო ტრანზაქციების სიას, რომელიც ასახავს ერთიანი ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებულ სადებეტო და საკრედიტო ოპერაციათა ჩამონათვალს, რომლის გენერირება ხდება კლიენტის მოთხოვნით.	**Bank Statement** - breakdown of the account transactions in a given timeframe, indicating credit and debit movements related with the accounts under this Agreement, which is generated upon Client's request.
კანონმდებლობა: ნიშნავს მოქმედ და ძალაში მყოფ საქართველოს კანონმდებლობას, რომელიც მოიცავს ნორმატიულ აქტებსა და საქართველოს შემადგენლობაში შემავალი ერთეულების (ავტონომიური რესპუბლიკების) კანონმდებლობას.	**Legislation** – means the legislation of the State of Georgia in force from time to time, including secondary legislation and, to the extent relevant, legislation of the subjects (autonomous republics) of Georgia.
II. ანგარიშის გახსნასა და მომსახურებასთან დაკავშირებული დებულებები	**II. Terms related to opening of accounts and their maintenance**
1. ანგარიშის გახსნა	**1. Opening of accounts**
1.1. ბანკი კლიენტს უხსნის საბანკო ანგარიშ(ებ)ს (ლარში/უცხოურ ვალუტაში), აწარმოებს საბანკო ოპერაციებს და უწევს სტანდარტულ პირობებში აღწერილ მომსახურებას ერთიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებითა და წესებით;	1.1. The Bank hereby opens for the Client a Bank Account(s) (in GEL/Foreign Currency), performs banking operations and provides services as described herein under the terms and conditions provided for in the Entire Agreement.
1.2. ანგარიში იხსნება კლიენტის განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის ანგარიშის გახსნის პროცედურებით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ.	1.2. The account is opened upon the Application of the Client, submission of an ID Document and other documents, as stipulated under the relevant Georgian Legislation and Bank's Internal Policy.
1.3. ცალკეული სახის საბანკო მომსახურების (გარდა საანგარიშსწორებო - საკასო, რომელსაც არეგულირებს ხელშეკრულება) განხორციელებისას კლიენტსა და ბანკს შორის დაიდება შესაბამისი ხელშეკრულება.	1.3. For separate types of Banking Services (except account-cash operations, which are regulated by the Entire Agreement), according separtate service agreements shll be concluded between thr Bank and the Client.
1.4. კლიენტი მიიღებს მოკლე ტექსტური შეტყობინებით (შემდგომში- ტექსტური შეტყობინება) მიიღებს ინფორმაციას შემოსული და გამავალი გადარიცხვების შესახებ და თანხის გატანასა/სადეპოზიტო ოპერაციებზე, რომლებიც განხორციელდება ფილიალებისა და ინტერნეტ ბანკის მეშვეობით.	1.4.The Client will obtain the information regarding incoming/outgoing money transfers and Cash withdrawal/deposit operations done through Branch and Internet Banking channels by Short Message Service (hereinafter -the SMS).

1.5. ტექსტური შეტყობინება ეგზავნება კლიენტს ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია განაცხადში.	1.5. The SMS is sent to the client on the phone number indicated in the proper Application.
1.6. ტექსტური შეტყობინება გააქტიურდება მას შემდეგ რაც კლიენტი შეავსებს ბანკის მიერ დადგენილ შასაბამის განაცხადს და ყველა ახალ ანგარიშზე ვრცელდება იგივე პირობები რაც გათალისწინებულია წინამდებარე მნიშვნელოვანი პირობებით.	1.6. The SMS service is activated when client signs appropriate Application and every new account is the subject to the same terms foreseen by the Standard Terms.
1.7. კლიენტი უფლებამოსილია გამორთოს ტექსტური შეტყობინების სერვისი ფილიალში ვიზიტისას მომსახურების შეწყვეტასთან დაკავშირებით შესაბამისი აპლიკაციის ჩაბარების გზით.	1.7. The Client is entitled to turn off the SMS service by visiting the Branch of the Bank and submitting the application to terminate the service.
1.8. კლიენტი თანახმა არის, რომ ბანკი უფლებამოსილია გაუგზავნოს ინფორმაცია ტელეფონის ნომერზე, რომელიც მითითებულია კლიენტის მიერ გაკეთებულ შესაბამის განაცხადში და იმ მობილური ოპერატორის მეშვეობით, რომელთანაც ბანკმა გააფორმა ხელშეკრულება და იცავს ინფორმაციის კონფიდენციალურობას.	1.8. The Client agrees that the Bank shall be authorised to send the information, regarding performed operations to the phone number identified in the proper Application and through the mobile operator which have concluded agreement with the Bank and guarantees the confidentiality of the information.
1.9. ბანკი პასუხს არ აგებს ნებისმიერი ტექნიკური პრობლემების შეფერხების გამო, რომელიც გამოწვეულია მესამე პირების მიერ ტექსტური შეტყობინების მომსახურების გაწევისას.	1.9. The Bank is not responsible for any interruptions of technical problems in providing SMS service caused by the third parties.
1.10. ნომინალური მფლობელობის ანგარიში 1.10.1. მომსახურების აღწერა 1.10.1.1. მომსახურებაში იგულისხმება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და კლიენტის (შემდგომში „ანგარიშის მფლობელი“) განაცხადის საფუძველზე ბანკის მიერ კლიენტისთვის ნომინალური მფლობელობის ერთობლივი ანგარიშის ან ნომინალური მფლობელობის სეგრეგირებული ანგარიშის გახსნა (შემდგომში “ნომინალური მფლობელობის ანგარიში“). ნომინალური მფლობელობის ანგარიში გაიხსნება მხოლოდ მიმდინარე ანგარიშის სახით. 1.10.1.2. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე შეიძლება განთავსდეს და/ან ამ ანგარიშიდან გადაირიცხოს მხოლოდ ანგარიშის მფლობელი პირის კლიენტის სახსრები, რომელსაც ეს პირი ფლობს და განკარგავს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თავისი საკუთარი სახსრებისაგან განცალკევებით. 1.10.1.3. ბანკის მოთხოვნის შემთხვევებში, ნომინალური ანგარიშის მფლობელი პირი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ინფორმაცია მისი კლიენტის (კლიენტების) და/ან მათი ბენეფიციარი მფლობელების შესახებ. 1.10.1.4. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე წარმოებული ოპერაციების შინაარსსა და დანიშნულებაზე პასუხს აგებს ანგარიშის ნომინალური მფლობელი. 1.10.1.5. აკრძალულია ნომინალური მფლობელობის	1.10. Nominee Account 1.10.1. Service Description 1.10.1.1. Service covers opening of the joint nominee account or the segregated nominee account (hereinafter referred to as the “Nominee Account”) by the Bank for the Client on the basis of the Application of the Client (hereinafter referred to as the “Account Holder”) and in order established under the legislation of Georgia. The Nominee Account shall be open in capacity of the current account solely. 1.10.1.2. The funds of the Client of the Account Holder solely can be transferred to and/or charged from the Nominee Account, possessed and disposed by the hereof person in line with the legislation of Georgia separately from own assets. 1.10.1.3. If demanded by the Bank, the Holder of the Nominee Account shall submit to the Bank the information about the own Client(s) and/or Beneficiaries thereof. 1.10.1.4. The Holder of the Nominee Account shall carry responsibility for the context and purpose of the transactions to/from the Nominee Account. 1.10.1.5. Disposal of the funds available at the Nominee Account shall be inadmissible on the basis of the assignment submitted directly by the Client of the Holder of the Nominee

ანგარიშზე არსებული თანხების განკარგვა უშუალოდ ანგარიშის ნომინალური მფლობელის კლიენტის მიერ წარმოდგენილი დავალების საფუძველზე. 1.10.1.6. ნომინალური მფლობელობის ანგარიში შეიძლება გადაფორმდეს სხვა პირზე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე. 1.10.1.7. ნომინალური მფლობელობის ანგარიშზე ვრცელდება მიმდინარე ანგარიშისთვის ბანკში დაწესებული სტანდარტული ტარიფები.	Account. 1.10.1.6. The Nominee Account shall be registered to another person on the basis of the ordinance of the authorized agency stipulated under the legislation of Georgia. 1.10.1.7. The standard tariffs established by the Bank for the current account shall apply to the Nominee Account.
2. ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა და დავალების გაუქმება	**2. Writing off from the Account and Cancellation of Payment Orders**
2.1.კლიენტის ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამოწერა ხორციელდება, კლიენტის თანხმობით (წერილობითი ნებართა, დავალება, მოთხოვნა) ანგარიშის მფლობელის მიერ განსაზღვრული რიგითობით ან/და უაქცეპტოდ ერთიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.	2.1.Writing off from Client's account is performed with the consent of the Client (written consent, order, agreement) in the order defined by the Client, unless a unilateral write-off procedure is applicable via Entire Agreement and/or Legislation.
2.2.კლიენტის ანგარიშებიდან ბანკის მიერ უაქცეპტო წესით თანხების ჩამოწერა შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:	2.2.A unilateral write-off from the Client's account by the Bank is allowed in the following circumstances:
2.2.1.საბანკო მომსახურებისთვის (საკომისიო სარგებელი) საფასურის გადასახდელად, ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად;	2.2.1. For covering Bank fees and charges, in accordance with Bank tariffs in force at the given moment;
2.2.2.ბანკის მიერ შეცდომით ჩარიცხული თანხების უკან დასაბრუნებლად;	2.2.2. For returning amounts, transferred by Bank error;
2.2.3.ბანკის წინაშე არსებული ნებისმიერი სახის დავალიანების დასაფარავად ან ვალდებულების შესასრულებლად. იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება დაფიქსირებულია ანგარიშზე არსებული ვალურისგან განსხვავებით სხვა ვალუტაში, ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კონვერტაცია,რომლის ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკში დადგენილი კურსით.	2.2.3. For covering any type of indebtness or obligation towards the Bank. In case of the necessity to convert the amount for coverage purposes, the conversion shall be made at the expense of the Client at the commercial exchange rate of the Bank as of the date of conversion.
2.2.4.ბიუჯეტში და მასთან გათანაბრებული გადასახდელებისას;	2.2.4. For payments made to state budget or any other payment, declared equal to such;
2.2.5.სასამართლო კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების საფუძველზე;	2.2.5. On the basis of Court Ruling (Decision) entered into force;
2.2.6.სააღსრულებო/საგადასახადო და კანონმდებლობით ამისათვის უფლებამოსილი ორგანოების მომართვისას;	2.2.6. Upon the request of an Enforcement/Tax Legislation entity or other entity, accordingly authorized by Law;
2.2.7.მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.	2.2.7. Other cases as described by Legislation.

2.3.იმ შემთხვევაში, თუ ჩამოსაწერი თანხა ანგარიშზე არსებული ვალუტისგან განსხვავებულია (სხვა ვალუტაშია), ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს თანხების კონვერტაცია, რომლის ექვივალენტი დგინდება ბანკის მიერ თანხის ჩამოწერის მომენტისათვის ბანკში დადგენილი კურსით.	2.3. In case of the necessity to convert amounts for write-off purposes, the conversion shall be made at the expense of the Client at the commercial exchange rate of the Bank as of the date of conversion.
2.4.კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალების გაუქმება შეიძლება, ბანკთან შეთანხმებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული დავალება ჯერ არ შესრულებულა და მისი გაუქმება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, ან იმ ვალდებულების არსს, რომლის შესასრულებლადაც გაიცა დავალება. ასევე, დავალების გაუქმება არ შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ბანკის მიერ უკვე გაცემულია დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს დავალების შესრულებას.	2.4. A payment order, made by the Client to the Bank, may be cancelled, upon the agreement with the Bank, only if the order in question has not been yet executed and its cancellation does not violate the Legilsation or the essence of the obligation, for the fulfiullment of which the order in question was made. Also, the cancellation of the payment order is not allowed if an according document, confirming the execution of the payment order, has been already issued by the Bank.
3. ბანკისა და კლიენტის უფლება-მოვალეობანი	**3. Rights and obligations of Bank and Client**
3.1. ბანკი იღებს ვალდებულებას:	3.1. **The Bank assumes the obligation to:**
3.1.1. მნიშვნელოვანი პირობების გაფორმების შემდეგ გაუხსნას კლიენტს საბანკო ანგარიში ბანკში დადგენილი წესისამებრ თხუთმეტი სამუშაო დღის განმავლობაში, კლიენტის მიერ ბანკში საჭირო დოკუმენტების წარდგენის დღიდან და ანგარიშის გახსნის შესახებ აცნობოს შესაბამის ორგანოს;	3.1.1. Open an account for the Client in accordancve with the Policy of the Bank within fifteen working days from the execution of Specific Terms with the Client and submission of the relevant documents by the latter and notify the relevant authority of such account opening;
3.1.2. გახსნიდან სამი საბანკო დღის განმავლობაში ჩარიცხოს ანგარიშზე შემოსული თანხები და გადარიცხოს დანიშნულებისამებრ, თუკი ამგვარი ოპერაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ერთიან ხელშეკრულებას;	3.1.2. Receive and place, within three working days, amounts entered on the Client's account and transfer them to their destination, in the event that such operation does not violate Legislation and Entire Agreement;
3.1.3. გადარიცხოს კლიენტის დავალებით, მოქმედი კანონმდებლობითა და ერთიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში დავალების გარეშეც, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან კრედიტორების ანგარიშზე, აგრეთვე განახორციელოს ანგარიშზე სხვა ოპერაციები მოქმედი კანონმდებლობის და ინსტრუქციების შესაბამისად;	3.1.3. Transfer upon the order by the Client, and, in cases specially described by Legislation in force and/or the Entire Agreement, without the relevant order, according amounts from the Client's account to the creditor's account, also perform other Banking Operations in accordance with the Legislation and Instructions in force;
3.1.4. მიიღოს და გასცეს როგორც კლიენტისაგან ასევე, კლიენტის მიერ გაცემული მინდობილობის შესაბამისად სხვა პირზე (მინდობილ პირზე) ნაღდი თანხა ან/და შეასრულოს წარმოდგენილი დავალებები;	3.1.4. Accept and deliver, from/to the Client, as well as its duly authorized trustee, in accordance with the Relevant Power of Attorney, cash amounts and/or perform submitted orders;
3.1.5. უზრუნველყოს კლიენტის მიერ ბანკისათვის მინდობილი ფულადი სახსრებისა და კომერციული საიდუმლოების დაცვა;	3.1.5. Ensure the confidentiality of sums and commercial information entrusted by the Client to the Bank;

3.1.6. წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ბრალეულად შეუსრულებლობისას და ამ მიზეზით კლიენტისათვის თანხის გადახდის დაგვიანებისას, გადაიხადოს ჯარიმა არაუმეტეს დაგვიანებული თანხის 0.5%-ის ოდენობისა ყოველ ვადაგადაცილებულ საბანკო დღეზე;	3.1.6. In case of intentional default undert Entire Agreement due to which any settlement is late, pay an according penalty to the Client in the amount of 0.5% of the deferred sum for each day of deferrance;
3.1.7. შეასრულოს ხელშეკრულებით და კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.	3.1.7. Duly observe requirements, as prescribed by the Entire Agreement and/or Legislation.
3.2. ბანკი უფლებამოსილია:	**3.2. The Bank is authorized to:**
3.2.1. კლიენტის განაცხადის და ბანკის თანხმობის საფუძველზე გაუხსნას კლიენტს ახალი საბანკო ანგარიშ(ებ)ი;	3.2.1. Open new Bank Account(s) for the Client, upon the relevant Application from the latter;
3.2.2. კლიენტთან დამატებითი შეთანხმების გარეშე დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული სახსრები საკრედიტო და სხვა რესურსების სახით;	3.2.2. Without any prior agreement witht the Client, temporarily make use of the amounts on the Client's account for crediting and other purposes;
3.2.3. ანგარიშის გახსნის შესახებ გააგზავნოს შესაბამისი შეტყობინება საგადასახადო ორგანოში და შეტყობინების ჩაბარებამდე არ აწარმოოს კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე აქტიური (გარდა ჩარიცხის ოპერაცია) საბანკო ოპერაციები.	3.2.3. Dispatch a relevant notification on account opening to the tax authority and not perform any active operations on the account opened (except receipt of amounts) until the relevant notification is delivered.
3.2.4 ცალკე ხელშეკრულების შესაბამისად გადაუხადოს კლიენტს პროცენტები მის ანგარიშზე სახსრების შენახვისათვის;	3.2.4. Pay the Client applicable interest, for saving his/her sums on the account, in accordance with a separate agreement;
3.2.5. თუ კლიენტი დაარღვევს ერთიანი ხელშეკრულების პირობებს დაუხუროს მას ანგარიშ(ებ)ი;	3.2.5. In case the Client violates the Entire Agreement, close the latter's account;
3.2.6. კლიენტის საბანკო ბრუნვების შესახებ გასცეს ინფორმაცია მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში;	3.2.6. Disclose information on the Client's account turnover only in specific instances, prescribed by legislation;
3.2.7 განახორციელოს საქართველოს კანონით „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" დადგენილი ვალდებულება და მოახდინოს კლიენტის ანგარიშის თაობაზე ინფორმაციის გაცვლა აღსრულების ეროვნულ ბიუროსთან ელექტრონული ან წერილობითი ფორმით;	3.2.7. Perform obligation prescribed by the Law of Georgia "On Enforcement Proceedings" and exchange information concerning the Client's account with the National Enforcement Bureau in written or electronic form;
3.2.8. ანგარიშზე ერთი წლის გამნავლობაში აქტიური ოპერაციების ან/და ამ ანგარიშზე ნაშთის არ არსებობის შემთხვევაში დაუხუროს კლიენტს ანგარიშ(ებ)ი;	3.2.8. In the event of no transactions are executed on the account within a timeframe of one calendar year, close such account;
3.2.9. გადაახდევინოს კლიენტს ჯარიმა ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშზე შეცდომით ჩარიცხული თანხის გამოყენებისათვის ამ თანხის 0.1% მისი სარგებლობის ყოველ საბანკო დღეზე;	3.2.9. Charge the Client with a penalty for making use of amounts placed on his/her account due to a Bank error in the amount of 0.1% of the amount used for each day of usage;
3.2.10. არ შეასრულოს კლიენტის დავალება და დავალების შეუსრულებლობის შესახებ მისთვის მისაღები ფორმით შეატყობინოს კლიენტს, იმ შემთხვევაში თუ:	3.2.10. Not perform an order by the Client and notify the latter of such non-performance in the form acceptable, in the event of:
3.2.10.1. ვერ ხერხდება კლიენტის სრულფასოვანი	3.2.10.1. Full identification of the Client is not possible;

იდენტიფიკაცია;	
3.2.10.2. დავალება შედგენილია ანდა წარდგენილია ბანკში დადგენილი წესის დარღვევით ან/და შეიცავს არაზუსტ ინფორმაციას (მითითებებს);	3.2.10.2. An order is drafted or submitted to the Bank in an undue form and/or contains inaccurate inromation (reference);
3.2.10.3. დავალებაში აღნიშნული თანხა აღემატება ანგარიშზე არსებულ ხელმისაწვდომ თანხას ან/და ბანკის მიერ დადგენილ ლიმიტებს;	3.2.10.3. The amount specified in the order exceeds the amount available upon the account and/or limits, defined by the Bank;
3.2.10.4. ბანკს გაუჩნდა ეჭვი კანონსაწინააღმდეგო ოპერაციის განხორციელების მცდელობის შესახებ.	3.2.10.4. The Bank suspects an attempt of illegal operation performance;
3.2.10.5. კლიენტს გააჩნია ბანკის მიმართ დავალიანება;	3.2.10.5. The Client has an indebtedness towards the Bank;
3.2.10.6. კლიენტის საბანკო ანგარიშზე წარმოდგენილია ყადაღა ანდა სასამართლოს გადაწყვეტილება ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერების შესახებ;	3.2.10.6. An arrest is imposed on the Client's account or an enforced Court Ruling (decision) exists, restricting the operations on the account in question;
3.2.10.7.კლიენტს დამატებით აქვს წარმოსადგენი ან სრულყოფილად არ წარმოუდგენია ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.	3.2.10.7. The Client was requested to submit additional information/documentation and such information was not submitted.
3.2.11.ცალმხრივად შეცვალოს ტარიფები, რომელიც დადგენილი იყო ერთიანი ხელშეკრულების დადების მომენტში. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაციას ბანკი გამოაქვეყნებს მის ოფისში ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ანდა გადააგზავნის კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე.	3.2.11. Unilaterally change the tarriffs, which were established at the moment of conclusion of the Entire Agreement. Such changes shall be published in the Branches of the Bank or an according notification shall be sent to the Client's e-mail address, if provided.
3.3. კლიენტი იღებს ვალდებულებას:	**3.3. The Client assumes the obligation to:**
3.3.1.ანგარიშის წარმოებისათვის გადაუხადოს ბანკს მომსახურების თანხა ბანკის მიერ დამტკიცებული ტარიფების შესაბამისად;	3.3.1. Pay the Bank the account maintenance fee in accordance with the Bank tarriffs, approved by the latter;
3.3.2.ანგარიშსწორების ან სხვა ანგარიშზე სახსრების არასწორად ჩარიცხვის შემთხვევაში ბანკიდან ამონაწერის მიღებიდან ანდა შესაბამისი ინფორმაციის მიღებიდან ორი სამუშაო დღის განმავლობაში აცნობოს ბანკს შეცდომის შესახებ. შეცდომით ჩარიცხული თანხების გამოყენების შემთხვევაში გადაუხადოს ბანკს ჯარიმა გამოყენებული თანხის 0.1%-ის ოდენობიით მისი სარგებლობის ყოველ დღეზე;	3.3.2. In the event of transferring amounts into the settlement or other type of account due to a Bank error, within two days from the receipt of the relevant Bank account excerpt or otherwise receipt of infromation notify the Bank of the according error. In the event of making use of such funds, pay the Bank a penalty in the amount of 0.1% of the funds used for each day of usage;
3.3.3. დაფაროს ყველა სახის ვალდებულება ბანკის მიმართ, მისი წარმოშობის შემთხვევაში;	3.3.3. Cover all types of indebtedness towards the Bank, in the event of such;
3.3.4. შეატყობინოს ბანკს ნაღდი თანხის გატანაზე ორი სამუშაო დღით ადრე, თუ იგი აღემატება 50 000 (ორმოცდაათი ათასი) აშშ დოლარს ან მის ექვივალენტს სხვა ნებისმიერ ვალუტაში;	3.3.4. Notify the Bank two business days before the withdrawal of funds, if the amount of withdrawal exceeds 50 000 (fifty thousand) USD or its equivalent in any other currency;

3.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს მის მიერ ბანკისთვის წარდგენილ დოკუმენტებსა და მიწოდებულ ინფორმაციაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე, ასევე წერილობით შეატყობინოს ბანკს იმ პირების შეცვლის შესახებ, რომლებიც უფლებამოსილნი არიან განკარგონ ანგარიშ(ებ)ი, ან მიიღონ ინფორმაცია ანგარიშ(ებ)ის მდგომარეობის შესახებ და შეტყობინებას დაურთოს შესაბამისი დოკუმენტები. ცვლილებების შესახებ შეტყობინებისა და შესაბამისი საბუთების მიღებამდე ბანკის მიერ ოპერაციები სრულდება ადრე წარდგენილი საბუთებისა და ხელმოწერის ნიმუშის საფუძველზე;	3.3.5. Immediately notify the Bank of any changes and/or additions made to the documents submitted, as well as notify in written form the change of person(s) authorized to dispose the account(s) or receive information concerning such account (s) and annex the relevant documents to the notification. Before the receipt of the relevant noitification with according documents, the Bank performs operations on the basis of the documents and signature samples submitted earlier;
3.3.6. დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს მისამართის, ტელეფონის ნომრების, ელექტრონული ფოსტის მისამართის და სხვა საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შესახებ;	3.3.6. Immediately notify the Bank any changes made to address, telephone numbers, e-mails or other contact information;
3.3.7. ყოველი ახალი ანგარიშის გახსნის მოთხოვნასთან ერთად ბანკს წარუდგინოს დოკუმენტები მისი საგადასახადო/სამეწარმეო სტატუსის შესაბამისად;	3.3.7. Together with bank account opening application, submit to the bank documents reflecting his/her tax/entrepreneurial status;
3.3.8.მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბანკს საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებული ყველა საბუთი და ინფორმაცია;	3.3.8. Submit all documents and information in relation to bank operations upon the first request from the Bank;
3.3.9. დაიცვას ერთიანი ხელშეკრულების პირობები;	3.3.9. Fulfil the obligations under Entire Agreement;
3.3.10. არ გამოიყენოს საბანკო ოპერაციები საქართველოს ნებისმიერი სახის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის (ფულის გათეთრება, ტერორიზმის დაფინანსება და სხვა);	3.3.10. Not use the account for any illegal purposes provided for by Legislation (money laundering, terrorism financing, etc);
3.4. კლიენტი უფლებამოსილია:	3.4. **The Client is authorized to:**
3.4.1. მისცეს ბანკს დავალებები ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად, მხოლოდ ბანკის უფლებამოსილებისა და მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში;	3.4.1. Issue order to be fulfilled by the Bank, within the limits of Legislation and Bank competence;
3.4.2. გასცეს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა ერთ ან რამდენიმე ნდობით აღჭურვილ პირზე საბანკო ოპერაციების საწარმოებლად;	3.4.2. Issue duly notarized Power of Attorney to one or several third persons in order to perform bank operations;
3.4.3. მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.	3.4.3. Request the fulfillment of obligations under the Present Agreement by the Bank.
4. პასუხისმგებლობა და მისგან გათავისუფლება	**4. The liabilities of the Parties and release thereof**
4.1. ბანკი პასუხისმგებელია კლიენტის წინაშე საბანკო ოპერაციების ზუსტად და დროულად განხორციელებისთვის. ბანკის მიზეზით ანგარიშიდან თანხის არასწორად ჩამოწერის, ან ანგარიშზე თანხების ჩარიცხვის ვადების დარღვევისათვის ბანკი იხდის პირგასამტეხლოს სტანდარტული პირობების შესაბამისად;	4.1. The Bank is liable for accurate and timely execution of bank operations. Erroneous write-off or violation of time limits for money transfers due to the fault of the Bank result in the latter's payment of a penalty for default services, in accordance with the Standard Terms;

4.2. კლიენტი პასუხისმგებელია ბანკის წინაშე საბანკო ოპერაციების განხორციელებისთვის. კლიენტის მიზეზით ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულების დარღვევისთვის კლიენტი იხდის პირგასამტეხლოს სტანდარტული პირობების შესაბამისად.	4.2. The Client is liable for banking operations execution. Any violation under the Entire Agreement due to the fault of the Client result in the latter's payment of a penalty for default services, in accordance with the Standard Terms;
4.3. პირგასამტეხლოს გადახდა დამრღვევს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.	4.3. The payment of penalties does not relieve the parties from the their mutual obligations;
4.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საანგარიშსწორებო საკასო მომსახურების განხორციელების დაყოვნებისათვის, თუ ეს ბანკის მიზეზით არ არის გამოწვეული;	4.4. The Bank shall not be liable for the delay in settlement-cash services, if the latter is not due to the default of the Bank;
4.5. ბანკი არ აგებს პასუხს ვალდებულების შეუსრულებლობისათვის, თუ ეს გამოწვეულია კლიენტის "საგადახდო დავალებაში", ან სხვა რომელიმე საბუთში აღნიშნული მიმღები ან შუამავალი ბანკის შეცდომით, ან ბანკისაგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით.	4.5. The Bank shall not be liable for the non-performance of an obligation, if such is due to the error made by the recipient or intermediary bank, referenced in the payment order or any other document or any other reason not under the Bank's control;
4.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის დავალებით განხორციელებული ოპერაციის შედეგებზე.	4.6. The Bank shall not be liable for the result of the operation made by the Client.
III. სადებეტო ბარათის გახსნასა და მომსახურებასთან დაკავშირებული დებულებები	**III. Terms related to Debit Card activation and maintenance**
5. 1.სადებეტო ბარათის დამზადება	**5.1. Issuance of Debit Card**
5.1.1 ბანკის მიერ ემიტირებული ვიზა ელექტრონის სადებეტო ბარათის დამზადება და გააქტიურება ხდება კლიენტის განცხადების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობითა და ბანკის პლასტიკური ბარათების წარმოებისათვის არსებული პროცედურებით გათვალისწინებული აუცილებელი დოკუმენტების წარმოდგენიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. ანგარიშის გახსნისას მასზე აქტიურდება მხოლოდ ერთი, ანგარიშის მფლობელის მიერ განაცხადში მითითებული ვალუტა, რომელიც არის ანგარიშის ძირითადი ვალუტა. ბანკი ბარათის მფლობელს გადასცემს ბარათს და პინ-კოდს კონვერტით ან მოკლე ტექსტური შეტყობინების (SMS) სახით, შესაბამის დოკუმენტაციასთან ან/და საინფორმაციო მასალასთან ერთად. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობები ვრცელდება ბანკის მიერ გამოშვებული/ემიტირებული სადებეტო ბარათების მიმართ, თუ ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული კონკრეტული ხელშეკრულებით და/ან შესაბამისი ბარათოს პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ბარათის მიღების მსურველმა ბანკს უნდა წარუდგინოს შესაბამისი განცხადება, შეიტანოს/ჩარიცხოს ბარათის დამზადების საკომისიო, ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს ბარათის დამზადებაზე მიზეზის მითითების გარეშე.	5.1.1 The produce and activation of Visa Electron Debit Card issued by the Bank will be made upon the application of the Client, in accordance with Legislation and Terms and Procedures of Plastic Cards set by the Bank, upon the submission of all necessary documents within 15 calendar days. When opening an account, only one currency is activated on it, indicated by the account holder in the application, which is the main currency of the account. The bank transfers the card to the cardholder and PIN code in an envelope or in the form of a short text message (SMS), together with the relevant documentation and/or information material. The terms and conditions set forth in this Agreement shall apply to debit cards issued by the Bank, unless otherwise is provided by the specific agreement concluded between the Bank and the Client and/or the terms of the relevant card. The person wishing to receive the card must submit a relevant application to the bank, deposit / enroll card production fee, in accordance with the tariffs set by the bank. The bank is entitled to refuse to produce the card without stating the reason.

5.1.2 თუ კლიენტი/ბარათის მფლობელი სადებეტო ბარათის დამზადებიდან ექვსი (6) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს ბანკს სადაბეტე ბარათის მისაღებად, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს და გაანადგუროს აღნიშნული ბარათი, ასეთ შემთხვევაში, კლიენტს სადებეტე ბარათის დამზადების საკომისიო არ უბრუნდება.	5.1.2. If the client will not take the Debit card from the Bank within six (6) months after it was produced, the Bank is entitled to cancel and destroy the Card, in this case fee for producing the card will not be returned to the Client.
5.1.3 სტანდარტული პირობების საფუძველზე კლიენტი აწარმოებს საბანკო ოპერაციებს ამ უკანასკნელის კუთვნილ საბანკო ანგარიშზე არსებული (ხელმისაწვდომი) თანხის ფარგლებში, რომლის რეკვიზიტები მოცემულია მნიშვნელოვან პირობებში. ოპერაციების წარმოება ხდება საგადახდო ინსტრუმენტის - სადებეტო ბართის გამოყენებით, რომელიც გაიცემა კლიენტის სახელზე და მიმაგრებული იქნება ამ უკანასკნელის მიერ შერჩეულ და სპეციალური პირობებში მითითებულ სადებეტო ბარათის ანგარიშზე.	5.1.3. Pursuant to Standard Terms, the Client conducts banking operations within the amount available on the latter's checking account maintained at the Bank, the requisites of which are given in Specific Terms. The execution of operations is performed via a payment instrument – Debit Card, which is issued in the name of the Client and shall be attached to the account designated by the latter, referenced in Specific Terms.
5.1.4 სადებეტო ბარათის მომსახურებისათვის კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს შესაბამისი საკომისიო ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად. ბანკის საბარათე პროდუქტთან და მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა საკომისიო და მათი გამოთვლის პრინციპები განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.isbank.ge) და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად შეცვალოს ტარიფები, რომელიც დადგენილი იყო ერთიანი ხელშეკრულების დადების მომენტში. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაციას ბანკი გამოაქვეყნებს მის ოფისში ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ანდა გადააგზავნის კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე.	5.1.4. For Debit Card services the Client is obliged to pay relevant commission in accordance with the tariffs, set by the Bank. All fees related to the Bank Card product and service and the principles of their calculation are published on the official website of the Bank (www.isbank.ge) and are an integral part of this Agreement. The Bank has the right to unilaterally change tariffs, which were established at the moment of conclusion of the Entire Agreement. Such changes shall be published in the Branches of the Bank or an according notification shall be sent to the Client's e-mail address, if provided.
5.1.5 კლიენტი უპირობოდ აცხადებს და ადასტურებს, რომ პირადი მონაცემები, მისამართი და ტელეფონები, რაც მის მიერ ბანკისათვის იქნა მიწოდებული ერთიანი ხელშეკრულების მიზნებისათვის, ისევე როგორც სხვა ინფორმაცია და დოკუმენტები, რაც მითითებულია განაცხადის ფორმაში და/ან ერთიან ხელშეკრულებაში მისი გაფორმების მომენტისათვის, არის ზუსტი და ნამდვილი. ასეთ ინფორმაციასა თუ დოკუმენტაციაში ნებისმიერი ცვლილების შეტანის შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია შეატყობინოს შესაბამისი ცვლილება ბანკს. ასეთის შეუტყობინებლობის შემთხვევაში კლიენტი სრულად აგებს პასუხს ყველა იმ პოტენციურ მოთხოვნასა და ზიანზე, რაც შესაძლებელია აღნიშნულიდან გამომდინარეობდეს (ზიანის ჩათვლით).	5.1.5. The Client agrees, represents and undertakes that identity details, address and telephone details, submitted by the latter to the Bank for the purposes of Entire Agreement, as well as other information and documents designated in the application form and/ or the Entrie Agreement or at the time of the execution, are true and correct. In case of any change to such details or documents, the Client is obliged to communicate relevant change to the Bank. Otherwise the Client shall be solely liable for all potential disputes and consequences arising thereof (including damages).

5.1.6 ახალდამზადებული სადებეტო ბარათის მიღებისთანავე, იმისათვის რათა ეს უკანასკნელი გახდეს გამოყენებისა და მოხმარებისათვის ვარგისი, სავალდებულოა საამისოდ განკუთვნილ ხელმოწერის ველზე, რომლიც განთავსებულია სადებეტო ბარათის უკანა მხარეს, დაფიქსირდეს კლიენტის ხელმოწერა. შესაბამისად, კლიენტი სრულად აგებს პასუხს ყველა იმ ზიანზე, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას სათანადო ხელმოწერის გარეშე ბარათის გამოყენებით.	5.1.6. Upon delivery of newly manufactured Debit Card, in order for the latter to become fit for circulation and usage, Client's signature should be made on the relevantly designates band at the back of Debit Card. The Client therefore shall be responsible for any disputes that may arise upon usage of the signature band without such signature in place.
5.1.7. ანგარიშზე დაიშვება მოქმედი კანონმდებლობით ნებადართული ოპერაციები, მათ შორის, როგორც უშუალოდ ანგარიშიდან, ასევე ბარათის მეშვეობით და დისტანციური ან ელექტრონული მომსახურების სისტემების გამოყენებით.	5.1.7. On Account will allow transactions permitted by applicable law, including directly from the account as well as by card and using remote or electronic service systems.
5.1.8. ანგარიშის მფლობელი უფლებამოსილია გამოიყენოს მის ანგარიშზე არსებული თანხა, ბლოკირებული თანხის გამოკლებით.	5.1.8. The account holder is entitled to use the amount in his / her account, minus blocked amount.
5.1.9. ანგარიშის გამოყენება შეიძლება დამატებით შეზღუდულ იქნას ბანკის მხრიდან შესაბამისი დღიური ან სხვა ლიმიტების შემოღების გზით.	5.1.9. The use of the account may be further restricted by the bank by introducing appropriate daily or other limits.
5.1.10. ანგარიშზე თანხა შეიძლება ჩაირიცხოს როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო საბანკო ანგარიშსწორების წესით.	5.1.10. The amount can be credited to the account by both cash and non-cash bank payment.
5.1.11. ბარათით განხორციელებული ტრანზაქციების შესაბამისი თანხის დაბლოკვა შესაბამის საბარათე ანგარიშზე ხდება ონ-ლაინ რეჟიმში, ხოლო ასახვა (ანგარიშსწორება) – გარკვეული პერიოდის (2 – 180 დღე) შემდეგ, პლასტიკური ბარათების შესაბამისი საგადამხდელო სისტემის (Visa International) წესების შესაბამისად.	5.1.11. The corresponding amount of card transactions is blocked online on the relevant card account, and the refund (payment) - after a certain period (2 - 180 days), in accordance with the rules of the relevant payment system of plastic cards (Visa International).
5.1.12. ბანკი ვალდებულია დაიცვას ანგარიშის მფლობელთან დაკავშირებული ანგარიშების ოპერაციების კონფიდენციალურობა, რომელიც ცნობილი გახდა მისთვის ანგარიშის მფლობელთან საქმიანი ურთიერთობისას. გამონაკლისს წარმოადგენს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები, ან თუ საქმე ეხება ჩვეულებრივ საბანკო ინფორმაციას საერთაშორისო საბანკო პრაქტიკის შესაბამისად, რომლითაც არ ილახება ანგარიშის მფლობელის ინტერესები.	5.1.12. The Bank is obliged to protect the confidentiality of account transactions related to the account holder, which became known to him during the business relationship with the account holder. Exceptions are cases provided by law, or if the case concerns ordinary banking information in accordance with international banking practice, which does not harm the interests of the account holder.
5.1.13. ბარათით განხორციელებულ ტრანზაქციებს ბანკი აკონტროლებს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, რაც ნიშნავს იმას, რომ ბანკს უფლება აქვს, დროებით შეაჩეროს ტრანზაქცია და/ან ბარათის მოქმედება საეჭვო ტრანზაქციების დაფიქსირებისას. ბარათის მფლობელი უფლებამოსილია, უარი განაცხადოს მისი ბარათის მონიტორინგზე გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც ფიქსირდება განაცხადით. ბანკი ასევე უფლებამოსილია, დაბლოკოს ბარათი ან/და ანგარიში (შეაჩეროს ოპერაციები) იმ შემთხვევაში, თუ ბანკს გაუჩნდება ეჭვი, რომ ბარათის გამოყენებით ან ანგარიშზე ხორციელდება ან/და განხორციელდა არასანქცირებული ან/და	5.1.13. The card transactions are controlled by the Bank through special software, which means that the Bank has the right to temporarily suspend the transaction and/or the validity of the card when detecting suspicious transactions. The cardholder is entitled to refuse to monitor his card for a certain period of time, which is fixed by the application. The Bank is also authorized to block the card and/or account (suspend transactions) in case the Bank suspects that an unauthorized and/or unlawful transaction has been carried out using the card or the account.

მართლსაწინააღმდეგო ოპერაცია.	
5.1.14. ბარათით სარგებლობის წესები ექვემდებარება საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის "ვიზა" (VISA) პროცედურებსა და წესებს, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. "ვიზა" (VISA) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის პროცედურების და წესების შესახებ ბარათის მფლობელს ინფორმაცია მიეწოდება მოთხოვნიდან გონივრულ ვადებში.	5.1.14. The terms of use of the Card are subject to the procedures and rules of the Visa International Payment System, which is an integral part of this Agreement. Information on the procedures and rules of the international payment system "Visa" (VISA) will be provided to the cardholder upon request within a reasonable time.
5.1.15. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით (მათ შორის, საგადახდო ინსტრუმენტების დამატებითი პირობები, მხარეთა დამატებითი უფლებები და ვალდებულებები, მხარეთა პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები), რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, შესაბამისი საგადახდო ინსტრუმენტისათვის ბანკის მიერ დადგენილი წესებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც განთავსებულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.isbank.ge), ასევე საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის (,,ვიზა'' (VISA) პროცედურებითა და წესებით.	5.1.15. Matters not covered by this Agreement (including Additional Terms and Conditions of Payment Instruments, Additional Rights and Obligations of the Parties, Other Issues Related to the Liability of the Parties) shall be governed by the laws of Georgia and the rules established by the Bank for the relevant payment instrument (if any), which are published on the official website of the bank (www.isbank.ge), as well as the procedures and rules of the international payment system ("Visa").
5.2. საბანკო ბარათის უსაფრთხოდ გამოყენების ინსტრუქცია	**5.2. Bank Card Usage Safety rules**
5.2.1. იშბანკის ვიზა ელექტრონ ბარათის მიღებისთანავე კლიენტის მიერ ხელი უნდა მოეწეროს ბარათის უკანა მხარეზე არსებულ ხელმოწერისთვის განკუთვნილ ადგილს, რათა თავიდან იქნეს არიდებული ბარათის დაკარგვის ან მოპარვის შემთხვევაში მისი გამოყენება სხვა პირის მიერ.	5.2.1. Upon receiving a new İşbank Visa Electron card, the Client's shall sign it on the back side immediately to avoid the risk of bank card usage without his/her permission in case of card loss.
5.2.2. კლიენტმა უნდა შექმნას სანდო პინკოდი ვიზა ელექტრონ ბარათისათვის. აირჩიოს ისეთი ციფრების კომბინაცია, რომელიც არ იქნება ადვილი გამოსაცნობი. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს მისი ან ახლობლების დაბადების თარიღები და პირადი ინფორმაციის შემცველი მარტივი სიტყვები.	5.2.2. The Client shall create reliable PIN–code for İşbank Visa Electron card. The Client must choose a combination of digits which is difficult to be guessed by third parties. The PIN-code should differ from Client's date of birth or other dates which can be retrieved from available personal information.
5.2.3. კლიენტმა არ უნდა გაამხილოს პინკოდი.	5.2.3. The Client should always keep in secret his/her PIN-code.
5.2.4. კლიენტმა არ უნდა დააწეროს პინ კოდი ბარათს. ქაღალდზე დაწერილი პინ კოდი არ შეინახოს ბარათთან ერთად საფულეში ან ჩანთაში, რათა უცხო პირს არ ჩაუვარდეს ხელში ბარათი და პინ კოდი ერთად და არ შეძლოს თანხის ათვისება.	5.2.4. PIN–code should not be written down on a card or be kept nearby. In case of card loss or theft with the wallet or bag, the plotter or fraud person will easily access all the necessary information for cash withdrawal from the account.
5.2.5. თუ კლიენტს გაუჩნდება ეჭვი, რომ მისი პაროლი (PIN კოდი) ვინმესთვის გახდა ცნობილი, სასწრაფოდ პინკოდის შესაცვლელად უნდა ეწვიოს იშბანკის რომელიმე ფილიალს ან მიიღის სმს-ი დროებითი პინ-კოდით მის მიერ მითითებულ მობილურ ნომერზე და შეცვალოს პაროლი იშბანკის ბანკომატში.	5.2.5. In case of suspicion that the Client's PIN code was disclosed, he has to change PIN code by visiting İşbank Branch or by receiving SMS with temporary PIN code to his/her mobile telephone number and change this temporary PIN code in İşbank ATM's.

5.2.6. კლიენტმა არ უნდა მიიღოს რჩევები და დახმარება მესამე პირისგან İşbank Visa Electron ბარათით სარგებლობის პროცესში.	5.2.6. The Client shall not accept recommendations, advices, help from the third parties while using his/her İşbank Visa Electron card.
5.2.7. კლიენტმა უნდა გაანადგურის ჩეკები და სხვა დოკუმენტები, სადაც მითითებულია მისი ანგარიშის ნომერი ან ინფორმაცია ბარათის შესახებ და დარწმუნდეს, რომ მისი Visa Electron ბარათს მიზნობრივად იყენებენ მესამე პირები (ოფიციანტები, მაღაზიის კონსულტანტები და ა.შ.).	5.2.7. The Client shall destroy copies of checks and other documents where his/her account or card number is indicated and shall make sure that İşbank Visa Electron card is used by third parties (waitress, shop assistant, etc.) only for known purposes.
5.2.8. სასურველია არ იყოს გამოყენებული მოწყობილობა, რომელიც ითხოვს პაროლს (PIN კოდს) იმ სივრცეში შესასვლელად, სადაც 24-საათიანი ბანკომატები დგას. თუ კლიენტს აქვს რამოდენიმე ბარათი, კარის გასაღებად და ბანკომატში თანხის გასანაღდებლად სასურველია გამოიყენოს სხვადასხვა ბარათი.	5.2.8. Equipment which request PIN-code to enter the 24-hour ATM area shall not be used. If the Client has several bank cards, one for the Card reader shall be used while opening the door in the 24-hour ATM area, and another one shall be entered in ATM.
5.2.9. პაროლი (PIN კოდი) უნდა შეიცვალოს მინიმუმ 90 – 180 დღეში ერთხელ. PIN კოდი კონფიდენციალურია და ცნობილია მხოლოდ ბარათის მფლობელისათვის. PIN კოდის დავიწყების შემთხვევაში ბარათის მფლობელი უნდა დაუკავშირდეს ბანკს და მიიღოს ახალი პაროლი (PIN კოდი). ბანკომატში PIN კოდის სამჯერ არასწორად აკრეფისას, ბარათი ავტომატურად კავდება ბანკომატის მიერ ან იბლოკება. ბარათის დაკავების ან დაბლოკვის შემთხვევაში ბარათის მფლობელი უნდა დაუკავშირდეს ბანკს.	5.2.9. PIN code shall be changed at least once in 90 – 180 days. The PIN code is confidential and known only to the cardholder. In case of forgetting the PIN code, the cardholder must contact the bank and receive a new PIN code. When cardholder enters the PIN code incorrectly three times in the ATM, the card is automatically captured or blocked by the ATM. In case of capture or blocking of the card, the cardholder must contact the bank.
5.2.10. ბანკი უნდა იყოს ინფორმირებული კლიენტის ანგარიშიდან მოსალოდნელი დიდი გასავლის და უცხოეთში მოგზაურობის შესახებ ელექტრონულ მისამართზე: card.support@isbank.ge	5.2.10. The Bank shall be informed about large expenses planned or a forthcoming trip abroad by sending an informative letter to card.support@isbank.ge
5.2.11. კლიენტმა არ უნდა განათავსოს იმაზე მეტი თანხა ბარათის ანგარიშზე, ვიდრე ეს მისთვის საჭიროა. მომხმარებელს ზედმეტი თანხა ყოველთვის შეუძლია გადაიტანოს საკუთარ საანაბრე ანგარიშზე.	5.2.11. Funds which are more that than Client needs shall not be kept on primary card account. It is always possible to transfer excessive funds to İşbank deposit account.
5.2.12. კლიენტმა უნდა შეეცადოს არ გამოიყენოს Visa Electron ბარათი თაღლითობის მაღალი რისკის მქონე ქვეყნებში (ბრაზილიაში, ბულგარეთში, ინდოეთში, მექსიკაში, ეგვიპტეში, არგენტინაში და სხვ.). Visa Electron ბარათის მოპარვის,დაკარგვის ან მესამე პირის მიერ უკანონოდ მითვისება/გამოყენების შემთხვევაში კლიენტმა დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს იშბანკი საქართველოს ფილიალს და აცნობოს ამის შესახებ შემდეგ ნომრებზე: + 995 32 231 05 17, ან +995 422 242 950 (ბათუმის ფილიალი) ან +995 32 231 05 15 (თბილისის ფილიალი).	5.2.12. Client shall avoid using his/her İşbank Visa Electron card in high-risk FRAUD countries (Brazil, Bulgaria, India, Mexico, Egypt, Argentina and other). In case when İşbank Visa Electron Card is lost, stolen, or unlawfully obtained or illegally used, Client immediately have to notify the Bank thereon by calling the following number: + 995 32 231 05 17, or +995 422 242 950 (Batumi Branch) or +995 32 231 05 15 (Tbilisi Branch).
5.2.13. ბანკის მიერ ემიტირებული ბარათების უსაფრთხოების პირობები, მოთხოვნები, შეზღუდვები, ასევე, ბარათიდან გამომდინარე არსებული შესაძლო რისკები განისაზღვრება წინამდებარე ხელშეკრულებითა და საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის („ვიზა" (VISA) პროცედურებითა	5.2.13. The security conditions, requirements, restrictions of the cards issued by the Bank, as well as the possible risks arising from card are determined by this Agreement and the procedures and rules of the International Payment System

და წესებით, რომლებიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.	(VISA), which an integral part of this Agreement.
5.3. ბანკომატის(ATM)გამოყენების უსაფრთხოების ინსტრუქცია	**5.3. ATM Usage Safety rules**
5.3.1. იმ შემთხვევაში, თუ ბანკომატმა დააკავა იშბანკის Visa Electron ბარათი, კლიენტი დაუყოვნებლივ უნდა დაუკავშირდეს იშბანკი საქართველოს ფილიალს და აცნობოს ამის შესახებ შემდეგ ნომრებზე: +995 422 242 950 (ბათუმის ფილიალი) or +995 32 231 05 15 (თბილისის ფილიალი).	5.3.1. If İşbank Visa Electron card was captured by ATM, the Client should inform the Bank by calling the number: +995 422 242 950 (Batumi) or +995 32 231 05 15 (Tbilisi).
5.3.2. არ არის რეკომენდირებული კლიენტმა გამოიყენოს ბანკომატი, რომელიც განთავსებულია ბნელ ან მიუვალ ადგილას. თანხის გაანაღდება სასურველია შესრულდეს ფილიალში ან დაცულ ადგილას მდგარი ბანკომატიდან.	5.3.2. Unfamiliar ATM's located in dark, deserted places as such ATMs are the most used by fraudsters and they are not recommended to be used. Cash Withdrawal shall be performed from trustworthy ATM's which are placed inside Bank Branches and visible areas.
5.3.3. ბანკომატის გამოყენებამდე კლიენტმა უნდა შეამოწმოს, ხომ არ ერთვის ბანკომატის კლავიატურას, ფულის უჯრას ან ბარათის წამკითხველს რაიმე მოწყობილობა. მსგავსის შენიშვნის შემთხვევაში, ბანკომატი არ უნდა გამოიყენოს.	5.3.3. Before ATM usage, the Client shall examine it for presence of foreign devices, placed over ATM keyboard, card reader or ATM visor. Should refrain from using such ATM.
5.3.4. კლიენტმა უნდა აკრიფოს პაროლი (PIN კოდი) სწრაფად, სასურველია სხვადასხვა თითით. თუ ვინმე ადევნებს თვალს, მას გაუძნელდება აკრეფილი ციფრების დანახვა. ასევე , კლინტმა უნდა შეეცადოს დაფაროს კლავიატურა მეორე ხელით, ჩანთით, ა.შ.	5.3.4. The Client shall dial his/her PIN-code quickly and preferably using several fingers – it will be more difficult for fraudsters to find out on what buttons his/her press. Also the Client shall cover keypad when dialing a PIN-code with his/her free hand, bag, etc.
5.3.5. კლიენტი პერიოდულად უნდა ამოწმებდეს თავისი Visa Electron-ის ბალანს. შემოწმება შესაძლებელია: ○ საბანკო ამონაწერით; ○ ბანკომატიდან; ○ იშბანკის ინტერნეტბანკით;	5.3.5. The Client shall check balances of his/her İşbank Visa Electron card accounts periodically. Are able to do it: • In statements • Through ATM • In İşbank Online.
5.3.6. კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს ბანკომატი თაღლითობის მაღალი რისკის ქვეყნებში (ბრაზილია, ბულგარეთი, ინდოეთი, მექსიკა, ეგვიპტე, არგენტინა და სხვ.).	5.3.6. The Client shall avoid using ATM's in high-risk FRAUD countries (Brazil, Bulgaria, India, Mexico, Egypt, Argentina and other).
6. ოპერაციები სადებეტო ბარათზე	**6. Debit Card Operations**
6.1 სადებეტო ბარათით სარგებლობა შესაძლებელი იქნება საერთაშორისო საბარათე ინსტიტუტების მიერ, რომლთა წევრს წარმოადგენს ბანკი, ავტორიზებულ ერთეულებში, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ, იმ პირობით, რომ სადებეტო ბარათი და/ან პაროლი/კოდი გამოყენებულ იქნება სადებეტო ბარათის ვადის გასვლამდე.	6.1. Debit Card will be valid in units authorized by the International Card Institutions that the Bank is a member of and at ATM's in Georgia and abroad, provided that the Debit Card and/or the Password/Code is used until the expiry of the validity term of the Debit Card.

6.2 კლიენტის გამოუხმობადი თანხმობა თითოეულ საბანკო ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდება სადებეტო ბარათით, მოიპოვება შემდეგი საშუალებით:	6.2.The irrevocable consent of the Client for each banking operation, performed via Debit Card, is obtained through:
(ა) სადებეტო ბარათის წარდგენა და პაროლის/კოდის შეყვანა (ბანკომატის ტრანზაქციები)	(a) presentation of the Debit Card and input of Password/Code of the Debit Card (for ATM transactions);
(ბ)სადებეტო ბარათის წარდგენა და პაროლის/კოდის შეყვანა, ან ანგარიშ-ქვითარზე კლიენტის ხელმოწერის დაფიქსირება (წევრი საწარმოების ტრანზაქციები) ;	(b) presentation of the Debit Card and input of Password/Code, or exercising a signature of the Client on the relevant Expenditure Slip (for Member Enterprise transactions);
(გ) სადებეტო ბარათის საიდენტიფიკაციო კოდის, რომელიც მითითებულია სადებეტო ბარათის უკანა მხარეს, მითითება, ბარათის ნომრისა და ამოწურვის ვადის მითითებით (ინტერნეტის ტრანზაქციები).	(c) entry of Debit Card identification number code (CVV) on the back of the Debit Card, together with its number and expirty date (for internet transactions).
შესაბამისად, თუ ოპერაცია შესრულებულია რომელიმე ზემოაღნიშნული თანხმობის მოპოვების მეთოდით, იგი მიიჩნევა სათანადოდ ავტორიზებულად.	Therefore, if an operation is rendered with any applicable consent method referenced above, it shall be deemed duly authorized.
6.3 სადებეტო ბარათით ტრანზაქციების შესრულების ვადები განსაზღვრულია საქართველოს კანონით და საბანკო ბარათის გამოყენების წესებითა და პირობებით.	6.3. The timeframes of execution of Debit Card operations are set by the law of Georgia and Terms and Procedures of Plastic Cards set by the Bank.
6.4 ყველა ტრანზაქცია, რაც შესრულდება სადებეტო ბართით და/ან კოდით, რომელიც გაცემულია იურიდიულ პირზე (ბიზნეს სადებეტო ბარათი), მიიჩნევა ავტორიზებულ პირთა მიერ განხორციელებულად, საპირისპიროს დამტკიცებამდე.	6.4. All transactions performed via Debit Card and/or the Code, disbursed to Legal Persons (Business Debit Card) shall be deemed to be made by authorized people unless proven otherwise.
6.5 კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს არაავტორიზირებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის ანაზღაურება იმ პირობით რომ (ა) განსახილველი არაავტორიზირებული ტრანზაქციის შესრულებიდან არ გასულა 40 კალენდარულ დღეზე მეტი (ბ) არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესრულების თარიღიდან არ გასულა 180 დღეზე მეტი და კლიენტმა არაავტორიზებული ან არასწორად განხორციელებული ოპერაციის შესახებ ბანკს შეატყობინა.	6.5. The Client is authorized to request the reimbursement of non-authorized or erroneous operation, provided that (a) up to 40 calendar days have passed from the day of the execution of the transaction in question (b) up to 180 calendar the day of the execution of the transaction in question and the relevant immediate notification has been given to the Bank.
6.6 სადებეტო ბარათით შესრულებული ოპერაციის ფაქტობრივი თარიღი შესაძლებელია განსხვავდებოდეს კლიენტის ანგარიშზე მისი ასახვის თარიღიდან. თარიღთა შორის ამგვარი განსხვავება რეგულირდება იმ საგადახდო სისტემების სტანდარტებით, რომლის ნაწილს ბარათი და ბანკი წარმოადგენენ.	6.6.The date of operation actually performed by the Debit Card may be different from the date reflected on the account of the Client. Such difference in dates is regulated in accordance with the standards of payment systems to which the card and the Bank is part to.
6.7 კლიენტი პასუხისმგებელია იმ ოპერაციებისათვის, რომელიც შესრულებულია სადებეტო ბარათით.	6.7.The Client is liable for operations, performed by the Debit Card.
6.8 სადებეტო ბარათის დაკარგვის შესახებ ერთიანი ხელშეკრულების 7.1.4 ან 7.1.5 მუხლებით გათვალისწინებული წესით განხორციელებული შეტყობინებიდან უმოკლეს ვადაში ბარათი ბანკის მიერ გაუქმდება. იმ შემთხვევაში, თუ	6.8. As soon as possible from the Debit Card being reported in accordance with clauses 7.1.4 or 7.1.5 hereto, it shall be cancelled by the Bank. Should the cancelled Debit Card be subsequently located and found, the Client must refrrain from

სადებეტო ბარათი დაშვებული იქნება ხელახალი გამოყენებისათვის კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე (რე-აქტივაცია), პასუხისმგებლობა ყველა იმ ტრანზაქციაზე, რაც განხორციელდება ბარათის დანაკარგის გაცხადების თარიღიდან რე-აქტივაციამდე, ეკისრება კლიენტს.	usage of such and instead return the Debit Card to the Bank. In the event that the Debit Card allowed for further use upon Client's request (re-activated), the responsibility for all transactions executed through re-activated card between the date on which loss reporting is made and the date on which the Debit Card is reactivated, shall be borne by the Client.
6.9 იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს სურს განახორციელოს თანხის განთავსების და/ან გადარიცხვის ოპერაცია სადებეტო ბარათით თანხის ბანკომატში პირდაპირი შეტანის გზით (ბანკნოტები და/ან ხურდა ფული), ფაქტობრივად შეტანილი თანხა, იმის და მიხედვით თუ როგორ იქნება ეს უკანაკსნელი აღრიცხული ბანკის შესაბამისი შიდა სისტემური ლოგით, ჩაითვლება უპირატესად კლიენტის მიერ ხელით ბანკომატში ჩაბეჭდილ ოდენობასთან მიმართებაში.	6.9.In the event that Client wishes to make a deposit and/or transfer transaction through Debit Card by means direct insertion of money (banknotes and/or coins) into ATM machine, the amount actually inserted, as recorded by relevant internal system logs of Bank, shall prevail as opposed to amount manually entered typed into the ATM by Client.
6.10. პლასტიკური ბარათების გამოყენება ნებადართულია მხოლოდ ონლაინ ავტორიზაციებით. ოფლაინ, ავტომატურად გამეორებული ავტორიზაციები და აზარტულ თამაშთან დაკავშირებული ყველა ტრანზაქცია აკრძალულია.	6.10. Using plastic cards only online authorizations are allowed. Offline,automatically repeated authorizations and all transactions related to gambling are restricted.
6.11 კონვერტაცია 6.11.1 თუ ბარათით თანხების განკარგვა განხორციელდება საბარათე ანგარიშის ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში, მაშინ კლიენტის/ბარათის მფლობელის ანგარიშიდან მოხდება თანხის ჩამოწერა კონვერტაციის გზით, გადატანა ანგარიშის ძირითად ვალუტაში და ანგარიშიდან მისი ჩამოჭრა. ამ შემთხვევაში ავტორიზაციის შემდეგ კლიენტის ანგარიშზე ხორციელდება ოპერაციის თანხის და მასზე დამატებული აღნიშნული თანხის 5% ბლოკირება კლიენტის ანგარიშზე განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით ბანკის სავალუტო რისკის დასაზღვევად. კლირინგის შემდეგ ბანკის მიერ მოხდება ზემოაღნიშნული 5% განბლოკვა. იმ შემთხვევაში, როდესაც ვალუტა იგივეა, რაც საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის ("ვიზა" (VISA) ვალუტა, ავტორიზაციის შემდეგ კლიენტის ანგარიშზე ხორციელდება მხოლოდ ოპერაციის თანხის ბლოკირება. კონვერტაცია ხორციელდება ანგარიშზე ტრანზაქციის ასახვის დღეს ბანკის მიერ დაწესებული კურსით, ამასთან საქართველოს ფარგლებს გარეთ შესრულებული ტრანზაქციებისათვის კონვერტაციის კურსი ბანკის მიერ დგინდება ტარიფების შესაბამისად. 6.11.2 ბლოკირებისას კონვერტაციის საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება ბანკის მიერ საბარათე სისტემისთვის დადგენილი კომერციული კურსი. ლარი / აშშ დოლარი გამოიყენება დამატებით ვალუტაში ბანკის ქსელის გარეთ განხორციელებული ოპერაციებისათვის. ბარათით განხორციელებული ტრანზაქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ აისახება კლიენტის ანგარიშზე. კლიენტის მიერ	**6.11 Conversion** 6.11.1 If card debits are made in a currency other than the currency of the account, then the amount will be debited from the client/cardholder's account by conversion, transferred to the main currency of the account and deducted from the card account. In this case, after the authorization, on the client's account will be blocked the amount of transaction and 5% of the transaction amount in order to insure the currency risk of the bank in connection with the transaction on the client's account. After clearing bank will unblock the above mentioned 5%. In case the currency is the same as the currency of the International Payment System (Visa), only the transaction amount will be blocked on the client account after authorization. The conversion is made to the card account at the rate set by the bank on the day of transaction reflection, at the same time, the conversion rate for transactions outside Georgia is set by the Bank based on the exchange rate set by the relevant card payment system (VISA), in addition to the transaction fee, there will be a fee for international transactions established by the bank tariffs. 6.11.2. In case need of conversion during putting block, the commercial rate set by the bank for the card system will be used. GEL / USD is used in additional currency for transactions outside the Bank's network. Card transactions are reflected in the customer's account after a certain period of

განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ბანკის სხვადასხვა დისტანციური არხების მეშვეობით.	time. Information about the transactions made by the client can be obtained through various remote channels of the bank.
6.12. საჩივრის განხილვა 6.12.1. ბანკი განიხილავს კლიენტის/ბარათის მფლობელის საჩივარს ბარათით შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებით ბანკში დადგენილი წესითა და პროცედურით. 6.12.2. ბანკში საჩივრის წარდგენა ხდება წერილობითი ფორმით. 6.12.3. კლიენტი/ბარათის მფლობელი ვალდებულია, საჩივართან ერთად წარუდგინოს ბანკს მის მიერ გასაჩივრებული ოპერაციის შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ასევე შესაბამის ტრანზაქციასთან დაკავშირებით მის ხელთ არსებული და/ან ბანკის მიერ მოთხოვნილი დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია. 6.12.4. საჩივრის განხილვა მოხდება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 20 (ოცი) სამუშაო დღის ვადაში, ხოლო, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკის აცნობებს კლიენტს/ბარათის მფლობელს საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების ვადას, დაგვიანების მიზეზის დასაბუთებით. 6.12.5. კლიენტის/ბარათის მფლობელის საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და განმცხადებლისთვის გაცნობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს საჩივრის მიღებიდან 90 (ოთხმოცდაათი) სამუშაო დღეს. 6.12.6. კლიენტი/ბარათის მფლობელი უფლებას ანიჭებს ბანკს, რომ საქართველოში ბარათით შესრულებული სადავო ტრანზაქციის განხილვის პროცესში დაუკავშირდეს ექვაირერს ან საბარათე ოპერაციაში ჩართულ სხვა მხარეს განხორციელებული ოპერაციის შესახებ ინფორმაციის მიღების მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ბანკისთვის სადავო ტრანზაქციის ყველა დეტალი და გარემოება ცნობილია.	**6.12 Consideration of the complaint** 6.12.1 The Bank reviews the complaint of the Client/ Cardholder in connection with the card transactions in accordance with the rules and procedures established by the Bank. 6.12.2 Complaints to the bank are made in writing. 6.12.3 The client/cardholder is obliged to submit the documents / information confirming the execution of the appealed transaction to the bank together with the complaint, as well as additional information / documentation available and / or requested by the bank regarding the relevant transaction. 6.12.4 The complaint will be considered no later than 20 (twenty) working days after its submission, and if due to reasons beyond the control of the bank it is not possible to review and decide on the complaint, the bank notifies the client / cardholder of the deadline for consideration and decision. 6.12.5 The deadline for making a decision on the client / cardholder's complaint and notifying the applicant should not exceed 90 (ninety) working days after receiving the complaint. 6.12.6 The Client/Cardholder authorizes the Bank in the process of reviewing a disputed card transaction in Georgia, contact the Equivier or another party involved in the card operation in order to receive information about the performed operation, unless all details and circumstances of the disputed transaction are known to the Bank.
7. ბანკისა და კლიენტის უფლება-მოვალეობანი	**7. Rights and obligations of Bank and Client**
7.1 კლიენტი ვალდებულია:	7.1. The Client is obliged to:
7.1.1გადაიხადოს სადებეტო ბარათის მომსახურების საკომისიო სტანდარტული პირობებით განსაზღვრული ოდენობით.	7.1.1. Pay the Debit Card maintenace fee in the amount set by the Specific Terms.
7.1.2 გამოიყენოს სადებეტო ბარათი საბანკო ბარათების გამოყენების წესებისა და პირობების მიხედვით.	7.1.2. Use the Debit Card in accordance with the Terms and Procedures of Plastic Cards set by the Bank, and the Entire Agreement.

7.1.3 არ გამოიყენოს სადებეტო ბარათი ნებისმიერი უკანონო დანიშნულებით ან არსებული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ, კანონით აკრძალული საქონლის შეძენის ჩათვლით.	7.1.3. Not to use the Debit Card for any illegal purpose or in violation of laws in any manner whatsoever, including purchase of service and goods that are prohibited by law.
7.1.4 დაიცვას სადებეტო ბარათის უსაფრთხოების წესები, რომელიც მას მიეწოდა და უზრუნველყოს სადებეტო ბარათის პერსონიფიცირებული მონაცემების დაცვა. იმ შემთხვევაში, თუ სადებეტო ბარათის პერსონიფიცირებული მონაცემები გამჟღავნდება მესამე პირზე კლიენტის თანხმობით, ეს უკანასკნელი ვალდებულია განახორციელოს აღნიშნულის შესახებ შეტყობინება ბანკში, ხოლო როდესაც გამჟღავნება ხდება კლიენტის ნების საწინააღმდეგოდ (მოპარვა, დაკარგვა და/ან თანხმობის გარეშე გამოყენება), დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე ბანკს შემდეგ სატელეფონო ნომერზე დარეკვით: + 995 32 231 05 17 ან +995 422 242 950 (ბათუმი); +995 32 231 05 15 (თბილისი).	7.1.4. Observe the safety measures of the Debit Card, delivered to him and ensure the safeguarding of peronsified means of the Debit Card, such as the Password/Code and the Debit Card itself. In the event that personified means of Debit Card mentioned herein become known to a third person by Client's consent, the Client is obliged to inform the Bank thereof, whereas when disclosed without the Client's consent (lost, stolen and/or used without consent), to immediately notify the Bank thereon by calling the following number: + 995 32 231 05 17 or +995 422 242 950 (Batumi Branch) or +995 32 231 05 15 (Tbilisi Branch).
7.1.5 იმ შემთხვევაში თუ სადებეტო ბარათი დაიკარგა, იგი მოიპარეს, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს ან უკანონოდ გამოიყენეს, დაუყოვნებლივ შეატყობინოს აღნიშნულის თაობაზე ბანკს შემდეგ სატელეფონო ნომერზე დარეკვის გზით: + 995 32 231 05 17 ან ბანკის უახლოეს ფილიალში პირდაპირ მიმართვის გზით. კლიენტის ეფექტური იდენტიფიკაციისათვის საჭირო პროცედურები განხორციელდება საბანკო ბარათების გამოყენების წესებისა და პირობების მიხედვით. ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ოპერაციებზე, რომლებიც შესრულდა იშბანკის ვიზა ელექტრონ ბარათით ამ უკანასკნელის მოპარულად, დაკარგულად ან სხვაგვარად უკანონოდ მითვისებულად გამოცხადებამდე.	7.1.5. In the event of the Debit Card being lost, stolen, unlawfully appropriated or illegally used, to immediately notify the Bank thereon by calling the following number: + 995 32 231 05 17 or applying to the Bank's nearest branch directly. The relevant procedures, necessary for the effective identification of the Client, shall be carried out in accordance with the Terms and Procedures of Plastic Cards set by the Bank. The Bank is not liable for thise operations, that were executed by the İşbank Visa Electron Card prior to it being declared stolen, lost or otherwise unlawfully appropriated.
7.1.6 არ გამოიყენოს სადებეტო ბარათი უკანონო მიზნებისათვის ან კანონის ნორმათა საწინააღმდეგოდ, რაც მოიცავს აკრძალული საქონლის შეძენას.	7.1.6. Not to use the Debit Card for any illegal purpose or in violation of the laws in any manner, including purchase of illegal goods.
7.1.7 განახორციელოს საკუთარი თავის იდენტიფიკაცია, სადებეტო ბარათით ოპერაციის შესრულებისას შესაბამისი მეორე მხარის მოთხოვნით.	7.1.7. provide relevant identification of oneself, if requested by the relevant counterparty to a transaction executed via Debit Card,
7.1.8. ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული და "ვიზა" (VISA) საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის პროცედურები და წესები.	7.1.8. Duly fulfill procedures and rules defined by the present agreement and Visa International Payment System.
7.1.9. ბარათის დაკარგვის, მოპარვის, უკანონო მითვისების ან უკანონო გამოყენების ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, მისი აღმოჩენიდან უმოკლეს ვადაში შეატყობინოს ამის თაობაზე ბანკს ან ბანკის მიერ განსაზღვრულ პირს.	7.1.9. In case of loss, theft, misappropriation or illegal use of the card, notify the bank or a person designated by the bank as soon as possible after its discovery.

7.1.10. შეინახოს ბარათით განხორციელებული ყველა ოპერაციის დამადასტურებელი საბუთი ასეთი ოპერაციის განხორციელებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში წარუდგინოს ისინი ბანკს.	7.1.10. Keep the documents confirming all card transactions within 6 (six) months after such transaction and, if necessary, submit them to the bank.
7.1.11. აანაზღაუროს ბანკის მიერ გაწეული ის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია "ვიზა" (VISA), საერთაშორისო საგადამხდელო სისტემის მიერ ბარათის დამატებითი სახის ფასიან მომსახურებებთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში.	7.1.11. Reimburse the Bank for any expenses incurred in connection with the Visa (VISA), an international payment system, for additional card services, if any.
7.2 კლიენტი უფლებამოსილია შეწყვიტოს სადებეტო ბარათის მოქმედება ნებისმიერ დროს, საკუთარი შეხედულებისამებრ, ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით განაცხადის გაკეთების გზით.	7.2.The Client is authorized to terminate the validity of Debit Card at any moment to the latter's discretion by filing a relevant termination request at the premises of the Bank.
7.3 ბანკი უფლებამოსილია:	7.3.The Bank is authorized to:
7.3.1 ავტომატურად ჩამოწეროს სადებეტო ბარათის მომსახურების საკომისიო სადებეტო ბარათის ანგარიშიდან რათა დაფაროს კლიენტის დავალიანება.	7.3.1. Automatically write-off the Debit Card maintenance fee from the Debit Card Account in order to cover the indebtedness of the Client.
7.3.2. უაქცეპტო წესით ჩამოჭრას შესაბამისი თანხები ანგარიშის მფლობელის სხვა ანგარიშებიდან ბანკში და მიმართოს ისინი ბანკის მიმართ არსებული დავალიანების დასაფარად. თუ საოპერაციო თარიღი ემთხვევა არასაბანკო დღეს, ოპერაცია განხორციელდება მომდევნო საბანკო დღის თარიღით, შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ გადასახდელი ყველა გადასახდელი, მათ შორის გადასახდელები, რომლებიც შესაძლოა გათვალისწინებული იყოს მომდევნო საბანკო დღისთვის.	7.3.2. To deduct the relevant funds from the other accounts of the account holder to the Bank and apply them to repay the debt owed to the Bank without accept of the cardholder. If the transaction date coincides with a non-banking day, the transaction will be carried out on the next banking day, therefore in this case the client is obliged to pay all payments payable by him, including payments that may be provided for the next banking day.
7.4. ბანკი ვალდებულია:	7.4. The Bank is obliged to:
7.4.1 იხმაროს ყველა გონივრული ღონე რათა უზრუნველყოს სადებეტო ბარათის უსაფრთხოება და თავიდან აიცილოს მისი უკანონო გამოყენება. აღნიშნული მიზნისათვის ბანკი უფლებამოსილია დროებით დაბლოკოს (შეაჩეროს) სადებეტო ბარათი იმ შემთხვევაში, თუ გაუჩნდება ასეთის უკანონო გამოყენების საფუძვლიანი ეჭვი.	7.4.1. use all means reasonably available in order to ensure the safety of the Debit Card and avoid its illegal usage. For that purpose, the Bank reserves the right to temporarily block (suspend) the Debit Card in the event it has reasonable doubt operations carried out are unauthorized.
7.4.2 არ გაამჟღავნოს და არ გახადოს ხელმისაწვდომი მესამე პირთათვის სადებეტო ბარათის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები.	7.4.2. Not to make available to third persons the personified safety characteristics and means of the Debit Card.
7.4.3 წინამდებარე ხელშეკრულების მუხლ 7.1.5-ში მითითებული შეტყობინების მიღებისთანავე უზრუნველყოს სადებეტო ბარათის შემდგომი გამოყენების შეზღუდვა. კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე სადებეტო ბარათი შეიძლება შეყვანილ იქნეს სტოპ-სიაში (ადგილობრივი, საერთაშორისო ან ორივე), შესაბამისი მოსაკრებლის გადახდის შემთხვევაში.	7.4.3. Immediately upon the receipt of a notification referred to in Article 7.1.5, ensure restriction of further usage of the Debit Card. Upon the request of the Client, the Debit Card may be enterted into the Stop-List (Local, International or both), subject to payment of the relevant fee.

7.4.4. იმისათვის, რომ მოხდეს კლიენტის ბარათის ამოღება ან და გაუქმება სტოპ-სიიდან საჭიროა კლიენტი მივიდეს შესაბამის ფილიალში წარადგინოს წერილობითი განცხადება.	7.4.4. In order to cancel or delist the client from the stop list, the client shall come to the branch and submit the written application.
7.4.5. მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ბარათის მფლობელს სრული და ზუსტი ინფორმაცია ბარათით ჩატარებული ოპერაციების შესახებ.	7.4.5. Upon request, provide the cardholder with complete and accurate information about the card transactions.
7.4.6. ტრანზაქციის (ოპერაციის) გასაჩივრების შედეგად თანხის დაბრუნების შემთხვევაში, მაქსიმუმ 90 (ოთხმოცდაათი) დღის განმავლობაში უზრუნველყოს კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვა.	7.4.6. In case of refund as a result of transaction (transaction) appeal, ensure the transfer of money to the client's account within a maximum of 90 (ninety) days.
7.4.7. არ გახადოს საგადახდო ინსტრუმენტის პერსონიფიცირებული უსაფრთხოების მახასიათებლები და საშუალებები ხელმისაწვდომი სხვა პირებისათვის, გარდა ამ ინსტრუმენტის მფლობელისა.	7.4.7. Do not make the security features and facilities of the payment instrument accessible to persons other than the holder of the instrument.
7.4.8. კლიენტის/ბარათის მფლობელის მიერ სათანადო წესით მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას ინფორმაცია ბარათით და/ან საბარათე ანგარიშზე შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებით (მათ შორის, ამონაწერის სახით), შესაბამისი სერვისისთვის ბანკში დადგენილი ტარიფებით.	7.4.8. Upon proper request by the client / cardholder, immediately provide him / her with information about the card and / or card account transactions (including in the form of an extract) at the rates set by the bank for the relevant service.
8. დამატებითი მომსახურება	**8. Additional Services**
8.1. ბანკი საშუალებას აძლევს კლიენტს, ხოლო კლიენტს კი უფლება აქვს მოითხოვოს ყოველთვიური საბანკო ამონაწერი (წერილობითი ან ელექტრონული ფორმით) სადებეტო ბარათის ანგარიშის მდგომარეობისა და ნაშთის შესახებ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. კლიენტმა უნდა განახორციელოს შესაბამისი მოთხოვნა ბანკში.	8.1. The Bank allows the Client and the Client has the right to request once per month Bank Statements (whether in written or electronic form) on the status and balance of the Card Account, free of charge. The Client has to make a relevant application to the Bank and the Bank Statement shall be available to the Client at any branch/service center of the Bank.
8.2. ბანკი, კლიენტის მიერ პირადად განხორციელებული პირველი მოთხოვნისთანავე (კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებები არ მიიღება მხედველობაში) მიაწვდის ამ უკანასკნელს შემდეგ ინფორმაციას:	8.2. The Bank, upon the Client's first request made in person (electronic means of communication not applicable), shall provide to the latter the following information:
(ა) სადებეტო ბარათით განხორციელებული ოპერაციები, კლიენტის მიერ მითითებულ დროის მონაკვეთში;	a) Operations performed through the Debit Card in a given time period, specified by the Client;
(ბ) ხელმისაწვდომი თანხების ოდენობა სადებეტო ბარათის ანგარიშზე;	b) Amount of available funds on the Debit Card Account;
(გ) სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია გონივრულად მოთხოვნილ იქნეს კლიენტის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით.	c) Other ifnormation, which may be resaonably requested by the Client in connection to the Present Agreement.
IV. დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებული დებულებები	**IV. Provisions related to remote banking services**

9. დისტანციური საბანკო მომსახურების (ინტერაქტიული ბანკინგის) აქტივაცია და კლიენტის ავტორიზაცია	**9. Activation of remote banking services (interactive banking) and client's authorization**
9.1 ინტერაქტიული ბანკინგით სარგებლობის უფლებას კლიენტი იძენს ბანკის ცენტრალიზებული იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრაციისთანავე.	9.1 The Client shall obtain the right to use interactive banking services upon the registering in the Bank's centralized identification system.
9.2 ინტერაქტიული ბანკინგით სარგებლობის უფლების გააქტიურება ხდება კლიენტის მიერ ხორციელდება კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის ხელმოწერითა და მის საფუძველზე კლიენტისათვის უნივერსალური პაროლის/კოდის მინიჭებით.	9.2 The activation of the right to use interactive banking services shall be carried out by signing the relevant application by the Client and obtaining the Client's unique password / code.
10. ინტერაქტიული ბანკინგით სარგებლობის წესები	**10. Interactive Banking Rules**
10.1 კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს ინტერაქტიული ბანკინგით მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას დავალებაზე ან აღნიშნული დავალების შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. კლიენტმა არ უნდა დატოვოს ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ, მანამ სანამ იგი ჩართულია ქსელში. გარდა ამისა, კლიენტი ვალდებულია:	10.1 The Client shall be responsible for all the orders that he or she grants to the Bank after special authorization procedures, until it terminates the use of interactive banking services. This implies responsibility for any order or any error therein which has been sent by a third party. The Client should not leave an interactive banking service unattended until it is connected to the network. In addition, the Client is obliged to:
10.1.1. უსაფრთხოდ შეინახოს ყველა წვდომის პაროლი/კოდი და არ მისცეს მისი გამოყენების საშუალება მესამე პირებს;	10.1.1. Safely store all access passwords / codes and shall not allow any third party to use it;
10.1.2 წვდომის პაროლის/კოდების მიღებისთანავე დაიმახსოვროს და დაუყოვნებლივ გაანადგუროს ის მატერიალური მატარებელი, რომელზეც მითითებულია აღნიშნული წვდომის პაროლი/კოდი;	10.1.2 Upon the receipt of passwords / codes, immediately memorize and remove them from the material drive which indicates the password / code of the given access.
10.1.3 არასოდეს გაუმხილოს დეტალები წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდ(ებ)ის შესახებ მესამე პირს; ან კლიენტის დავალების საფუძველზე ახორციელებნ წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდ(ებ)ის შეცვლას ან წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდ(ებ)ის გააქტიურებას. ასევე ნებისმიერ სხვა შემთხვევაში, როდესაც ბანკის თანამშრომლის დაშვება წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდ(ებ)თან აუცილებელია კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტისათვის ან/და შესაბამისი მომსახურების განხორციელებისათვის);	10.1.3 Never disclose the details of authorization password (s) / code (s) to any third party; or on the Client's behalf change the access password (s) / code (s) or activate access password (s) / code (s). In any other cases, when the Bank's employee access shall be allowed to the password (s) / code (s) required for solving the specific issue and / or implementing any relevant services);
10.1.4 არასოდეს ჩაწეროს წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდ(ებ)ი ისეთ პროგრამულ უზრუნველყოფაში, რომელიც ავტომატურად ინახავს ინფორმაციას (მაგალითად, კომპიუტერის `პაროლის შენახვის~ ფუნქცია ან ინტერნეტის სხვა მსგავსი ფუქნცია);	10.1.4 never write access password (s) / code (s) in software that automatically stores information (for example, the function of "password storage" or other similar Internet device);
10.1.5 არასოდეს დაწეროს წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდები ისე, რომ მესამე პირებმა შეძლონ მათი ამოცნობა.	10.1.5 Never write access password (s) / codes so that third parties can recognize them.

შენიშვნა: თუ კლიენტს აქვს ეჭვი, რომ მესამე პირისათვის ცნობილია მისი წვდომის პაროლ(ებ)ი/კოდები ან უსაფრთხოების სხვა დეტალები, მან დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბანკს ამის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდება მის ანგარიშზე აღნიშნული წვდომის პაროლ(ებ)ის/კოდების ან უსაფრთოხების სხვა დეტალების გამოყენებით.	Note: If the Client has suspicion that a third person is aware of his / her password / s or other security details, he / she shall immediately notify the Bank thereupon, otherwise it shall be responsible for all the operations that will be made to the account (s) using other codes or other security details.
10.2 კლიენტმა არ უნდა გამოიყენოს ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება დანახარჯის ზღვარის (ლიმიტის) გადაჭარბება. ბანკში დადგენილი ლიმიტები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე (www.isbank.ge). ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს ლიმიტები. აღნიშნული ცვლილების შესახებ ინფორმაციას ბანკი გამოაქვეყნებს მის ოფისში ამისათვის გამოყოფილ სპეციალურ ადგილზე ანდა გადააგზავნის კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართზე.	10.2 The Client shall not use the interactive banking services if it may result overrun of his/her account without prior approval of the Bank or if the expenditure limit is exceeded. The limits set in the bank are given on the web page of the bank (www.isbank.ge). Bank is authorized to change unilaterally the limits. Such changes shall be published in the Branches of the Bank or an according notification shall be sent to the Client's e-mail address, if provided.
10.3 ბანკი მიმართავს ყველა ზომას რათა კლიენტი უზრუნველყოს ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურებით, მაგრამ ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით კლიენტის უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. აღნიშნული გულისხმობს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც ხდება ბანკის სისტემის ან ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების შეფერხება სისტემის განახლების და გაუმჯობესების მიზეზით.	10.3 The Bank shall apply all efforts to provide the Client with interactive banking services, but the Bank shall not be liable for the failure to provide the Client with the services due to reasons beyond the control of the Bank. This implies the occurrences when the banking system or interactive banking services are delayed due to the renewal and improvement purposes of the system.
10.4. კლიენტის და/ან საკუთარი ინტერესების დასაცავად, ბანკს შეუძლია შეაჩეროს ან შეზღუდოს კლიენტის მიერ ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების ან მისი ნაწილის გამოყენება. ბანკი პირველი შესაძლებლობისთანავე გაუგზავნის კლიენტს შეტყობინებას აღნიშნულის თაობაზე. ბანკს აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურება ან მისი ნაწილი;	10.4. In order to protect the Client and / or its own interests, the Bank may suspend or limit the Client to use the interactive banking services or any part thereof. The Bank shall send to the Client a notification thereupon as soon as possible. The Bank may also terminate any interactive banking services or part thereof at any time;
10.5. კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს კონკრეტული ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების სააბონენტო საკომისიო (ასეთის არსებობისას);	10.5. The Client shall be obliged to pay a subscription fee for a specific interactive banking service (if any);
10.6 კლიენტი უფლებასმოსილებას ანიჭებს ბანკს განახორციელოს ყველა ზეპირი ან ელექტრონული მითითება, რომელსაც კლიენტი გასცემს (ან ჩანს, რომ გასცა) ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების მეშვეობით;	10.6 The Client shall give the Bank the right to carry out all verbal or electronic instructions issued by the Client (or seems to be issued) through the interactive banking service.
10.7. კლიენტი თანახმაა და უფლებასმოსილებას ანიჭებს ბანკს, კლიენტის მიერ დისტანციური არხების მეშვეობით გაგზავნილი დავალების (განაცხადის) საფუძველზე, უზრუნველყოს კლიენტისათვის მიმდინარე ანგარიშის გახსნა ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად, თუ კლიენტის მიერ ბანკისათვის მიმართვის მომენტისათვის კლიენტს ბანკში უკვე გახსნილი აქვს ანგარიში.	10.7. The Client agrees and gives the Bank the right to open a current account in the Bank on the basis of the order sent through the remote channels by the Client to the Bank in accordance with the terms established in the Bank if the client has already opened an account in the Bank at the time

	of application to the Bank.
10.8 ბანკის მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული რაიმე ზარალზე, როდესაც:	10.8 The Bank shall not be considered in a breach of the Agreement and shall not be liable for any damages when:
10.8.1 ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების (ან მისი ნაწილის) განხორციელება შეუძლებელია ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;	10.8.1 provision of interactive banking services (or any part thereof) cannot be implemented due to reasons beyond the control of the Bank;
10.8.2 კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, წვდომის პაროლები/კოდები) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამგვარი არაავტორიზებული გამოყენება გამოწვეული იყო ბანკის უხეში გაუფრთხილებლობით, დაუდევრობით ან განზრახი ბრალით;	10.8.2 Client's security details (namely, access passwords / codes) have been subject to unauthorized use, except when such unauthorized use was caused by gross negligence, negligence or intentional fault of the Bank;
10.8.3 ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი;	10.8.3 The Bank has not received an order (s) sent by the client;
10.8.4 კლიენტმა ბანკს მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია;	10.8.4 The client provided the Bank with incorrect or incomplete information
10.8.5 კლიენტსა და ბანკს შორის სატელეფონო ან ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე.	10.8.5 The client and the Bank telephone communication or internet connection was interrupted by a third party.
10.9 ინტერაქტიული ბანკინგით მომსახურებით სარგებლობისათვის საჭირო პაროლების/კოდების რეგისტრაცია იდენტიფიკაციის სისტემაში, ასევე მომხმარებლის სახელისა მიღება და აღდგენა, მობილური ტელეფონის ნომრის ჩანაცვლება კლიენტმა შეიძლება განახორციელოს ბანკის ფილიალის მეშვეობით აღნიშნული ოპერაცია წარმოებს აქტიური (მოქმედი) ბარათის გამოყენებით.	10.9 Registration of passwords / codes required for use of interactive banking services within the identification system, as well as receiving and restoring the username, replacement of mobile phone number the client can be performed through a branch of the bank using the active (valid) card.
10.10 იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრირებული უნივერსალური იდენტიფიკატორებია: ა) მომხმარებლის ნომერი– ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების მისაღებად, ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო, იდენტიფიკაციის სისტემის მიერ ავტომატურ რეჟიმში განსაზღვრული ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც უნიკალურია და არ იცვლება ბ) პინი – ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურების მისაღებად ავტორიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ერთ-ერთ პარამეტრი, რომელიც კლიენტს გადაეცემა იდენტიფიკაციის სისტემაში რეგისტრაციისთანავე მობილური ტელეფონის მიეშვეობით, პინი, რომელიც თავდაპირველად გადაეცემა კლიენტს ექვემდებარება სავალდებულო ცვლილებას კლიენტს მიერ ცენტრალიზებული ინტერაქტიული ბანკინგის	10.10 Unique identifications registered in the Identification System are as follows: A) Client's number - one of the parameters specified in the automatic mode by the Identification System required for the authentication of an interactive banking service, which is unique and is not subject to change. B) PIN – one of the parameters required for the authorization for getting interactive banking services which is granted to the Client prior to registration in the identification system via the mobile phone; PIN, which is originally delivered to the Client shall be subject to change by the Client upon the first use of the centralized interactive banking services through

მომსახურების მისაღებად ნებისმიერი დისტანციური არხის პირველივე გამოყენებისას. ამასთანავე, შესაბამისი მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად შეცვალოს არსებული პაროლი შესაბამისი დისტანციური არხის გამოყენებით. გ) მობილური ტელეფონის ნომერი– ტელეფონის ნომერი/, რომელზეც კლიენტი იღებს ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურებით განსაზღვრული ოპერაციების წარმოებისთვის საჭირო ერთჯერად პინს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) (პინს კლიენტი მიიღებს მხოლოდ მობილური ტელეფონის ნომერზე). ამასთანავე, შესაბამისი ინტერაქტიული ბანკინგის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს შეცვალოს მობილური ტელეფონის ნომერი და ახალი ტელეფონის ნომრის მონაცემები აცნობოს ბანკის ფილიალს.	any remote channels. At the same time, the Client shall be authorized to change the existing password using the appropriate remote channel in accordance with the terms established in the Bank at any time during the use of the services. C) Mobile phone number or - telephone number where the Client receives a single use PIN (if any) to perform operations defined by the interactive banking services (the client receives the PIN only on the mobile phone number). At the same time, the Client is entitled to change the mobile phone number and inform the Bank's branch of the new phone number at any time during the use of relevant interactive banking services.
V. სხვადასხვა	**V. Miscellaneous**
11. სტანდარტული პირობების მოქმედების ვადა	**11. Term of Standard Terms**
11.1. სტანდარტული პირობა მოქმედებს იმ ვადით, რა ვადითაც გახსნილი არის შესაბამისი ანგარიში ან ძალაშია შესაბამისი საბანკო მომსახურება (პროდუქტი) და შესაბამისად გაგრძელდება იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის ვადა იქნება გაგრძელებული;	11.1. Standard Terms are in force for the period of each bank account being opened or specific banking product (service) is active and therefore, shall be prolonged in the event that the account term is prolonged;
11.2. კლიენტს შეუძლია ნებისმიერ დროს დახუროს ანგარიში ან შეწყვიტოს ერთიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა ანგარიშის დახურვამდე 1 (ერთი) დღით ადრე ბანკისთვის წერილობითი შეტყობინების გადაცემის მეშვეობით, თუ მას არ გააჩნია ბანკის მიმართ დავალიანება;	11.2. The Client is entitled to stop making use of the services provided for under the Entire Agreement and close the account(s) at any time upon serving a 1 (one) day prior notice to the Bank, in the event of no indebtness existing before the latter.
11.3. ანგარიშზე ერთი წლის გამნავლობაში აქტიური ოპერაციების ან/და ამ ანგარიშზე ნაშთის არ არსებობის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს ერთიანი ხელშეკრულება და კლიენტს დაუხუროს ანგარიშ(ებ)ი;	11.3. The Bank is entitled to terminate the Entire Agreement and close a relevant account of the Client in the event of no transactions are executed on the said account within a timeframe of one calendar year;
11.4. ერთიანი ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს მხარეთა ორმხრივი განცხადების საფუძველზე;	11.4. The Entire Agreement can be terminated at any time upon the agreement of the parties;
11.5. ერთიანი ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გამო;	11.5. The Entire Agreement may be terminated unilaterally by the Bank upon the default of the Client;
11.6. ერთიანი ხელშეკრულების მოქმედება წყდება კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.	11.6 The Entire Agreement can be terminated due to other grounds, provided for by Legislation.

12. ფორს-მაჟორი	**12. Force-Majeure**
12.1.მხარეები თავისუფლდებიან ვალდებულებათა ურთიერთშესრულებისაგან ფორს-მაჟორული ვითარების შემთხვევაში. ფორს-მაჟორის არსებობა ავტომატურად არ იწვევს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტას.	12.1. The Parties shall be excused from performing their obligations in the event of force majeure. Force Majeure does not automatically lead to the termination of the Entire Agreement.
12.2. მხარე შეატყობინებს მეორე მხარეს წერილობით ფორს-მაჟორული გარემოებისა და მისი შედეგების შესახებ ასეთის დადგომიდან შესაძლებელ მინიმალურ ვადაში.	12.2. A party shall notify the other party in writing of Force Majeure and its effects within minimal timeframe after the occurrence of such events.
12.3. ფორს-მაჟორული ვითარების არსებობისას წინამდებარე ხელშერკულების მხარეთა ვალდებულების შესრულების დრო გაგრძელდება ფორმს-მაჟორული გარემოებისა და მისი შედეგების შეწყვეტამდე.	12.3. In the event of Force Majeure, the time for performance of obligations by the Parties hereunder shall be extended until the elimination of the Force Majeure events or their effects.
12.4. თუ მორს-მაჟორული ვითარება გაგრძელდება სამ თვეზე მეტი ხნით, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ წინამდებარე ხელშერკულების შეწყვეტაზე ან შეცვლაზე ფორს-მაჟორული ვითარების გათვალისიწნებით.	12.4. If Force Majeure continues for more than three months, the parties may agree to terminate or modify the Entire Agreement due to Force Majeure events.
13. დასკვნითი დებულებანი	**13. Conclusive Terms**
13.1. ნებისმიერი დავა და უთანხმოება, რომელიც გამომდინარეობს ერთიანი ხელშეკრულებიდან ამ მასთან დაკავშირებული სხვა ხელშერკულებებიდან, გადაწყდება ურთიერთმოლაპარაკებით ან, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, გადაეცემა განსახილველად სასამართლოს ბანკის ადგილმდებარეობის მიხედვით კანონმდებლობის შესაბამისად. ერთიანი ხელშერკრულებისა და მხარეთა შეთანხმების გათვალისიწნებით პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268 (1) მუხლის შესაბამისად.	13.1. Any dispute and controversy arising out, pertaining to or in connection with the Entire Agreement, shall be settled through negotiations or, failing agreement shall be referred to a court at the location of the Bank in accordance with the Legislation. Pursuant to the Present Agreement and as agreed by the parties, the decision of the first court instance regarding the dispute in connection herewith shall be immediately enforceable pursuant to paragraph 268 (1) of the Georgian Code of Civil Procedure.
13.2. მხარეთა შორის ნებისმიერი კომუნიკაცია იწარმოებს წერილობითი ფორმით. წერილობითი შეტყობინება მიიჩნევა საკმარისად, თუ იგი მხარისათვის მიწოდებული იქნება კურიერის მიერ ან დაზღვეული წერილით მნიშვნელოვან პირობებში გათვალისწინებულ მისამართზე და ხელმოწერილია უფლებამოსილი პირის მიერ. თუ მხარე არ შეატყობინებს მეორე მხარეს მისამართის ცვლილების შესახებ წინასწარ, შეტყობინება ჩაითვლება სათანადოდ მიწოდებულად თუ იგი მიტანილი იქნება ცნობილ მისამართზე.	13.2. Any notice or communication between the Parties shall be in writing. The communication or notice shall be deemed sufficient if delivered by a courier or certified mail to the appropriate party at its address specified herein, and is signed by an authorized person. If the party fails to notify of changes in its address in advance, the notice or communication shall be deemed to be duly delivered to the previous address.
13.3. ბანკს უფლება აქვს შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტში, აღნიშნული ცვლილების ამოქმედებამდე 8 (რვა) კალენდარული დღით ადრე გამოაქვეყნოს აღნიშნული ინფორმაცია ბანკის ინტერნეტ ვებ-გვერდზე www.isbank.ge ან/და ბანკის ფილიალის შენობაში .	13.3. The Bank retains the right to implement amendments to this agreement through 8 (Eight) calendar days advance placement of relevant information on the web-site of the bank at www.isbank.ge and/or at the premises of the bank's branches.

13.4. თავიანთ უფლება-მოვალეობათა განხორციელებისას მხარეები ხელმძღვანელობენ კანონმდებლობით, ერთიანი ხელშეკრულებითა და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშერკულებებით.	13.4. While performing their obligations, the Parties rely on the Legislation, the Present Agreement and other Agreement(s) associated thereto.
13.5. 2020 წლის 1 ივლისიდან, „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ყველა ფიზიკური პირის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 15,000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში ყველა ფიზიკური პირის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge	13.5. From July the 1st, 2020 in accordance with the Law of Georgia on Deposit Insurance System, the amounts on all type of deposits (including current accounts) of all individuals are insured and compensated by the Deposit Insurance Agency within the limit of 15,000 GEL, regardless the number of accounts held in the Bank. The accounts of all individuals in the Bank are insured automatically, without any additional charges. For more information on deposit insurance system, visit web site at: www.diagency.ge